ყოველდღიური ბულვარული, „ულტრა“ ფერადი

# თელასი

ფასი 50 თეთრი

№106 (1001) 3 - 4 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


ლიტო გელოვანი

## ცრემლები და ოინები

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

# ვინ ცდილობს ორი ირაკლის დაპირისპირებას

გვ. 3

## რატომ ახსენებენ კუღუარებში „კაბელების საქმეზე“ საუბრისას გია ხუხაშვილს, დაშა ნაცვლიშვილსა და დავით საგანელიძეს

## ექსპერტების ვერდიქტი მთავრობის ორწლიან ანგარიშზე

გვ. 5

გვ. 5

„მოსმინებითა შენითა“ ანუ ვის ექნება გასაღები

## ნაციონალებს გია ბარამიძისა და მისი ცოლის საუბრის ფარული ჩანაწერი აქვთ?!

## რატომ ითიშება დენი — „თელასის“ გენერალური დირექტორი ორწლიან დუმილს არღვევს

## რატომ ჭიანურდება „ავტოგაზის“ ყოფილი მფლობელების საქმის გამოძიება

გვ. 7

რას აპირებს დაზარალებულების ადვოკატი

## ბიძინა გუჯაბიძე პოლიტიკიდან მიდის!

გვ. 4

„მეუბნებით, რატომ არ ხართ აქტიურიო, მაშინ რეჟიმს ვებრძოდი და ახლა რომელ რეჟიმს ვებრძოლო — „ოცნებაა“ ხელისუფლებაში!“

## ბანკომატების გაძარცვის სქემა

გვ. 8

პატიმრის დღიური

# კრემლები და ოინები

დიტო გელოვანი

**...მერე, დეკემბრის ერთ სამშაბათ დღეს, სადილობისას, როგორც იქნა, გზა მისცა თავის მტანჯველ ფიქრებს. ბავშვებს მთლი სიცოცხლე ემახსოვრებათ, რა დიდის ამბით დაჯდა სუფრის თავში მათი მამა, და ციებშეყრილივით აცახცახებულმა როგორ აუწყა ყველას თავისი ახალი აღმოჩენა - „დედამიწა ფორთოხალივით მრგვალია“. ურსულა ლამის გადაირია: „შენ თუ გინდა ჭკუაზე შეიშალო, შეიშალე, ბატონო, ხელს არავინ გიშლის, ბავშვებს კი თავი დაანებე, გონებას ნუ ურევ იმ შენი წყეული ბოშების მონაჩმახით“.**

*(გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელი“)*

ხომ არის, რომ ბევრი ამბებია, რომელიღაც არის მთავარი და სხვაც ბევრია მთავარი, მაგრამ სადაც რაღაც მთავარია, რაღაც მეორეხარისხოვანია და როგორ უნდა მიხვდე, რომელია მთავარზე უმთავრესი? ამის დადგენის ერთ-ერთი მეთოდია სტატისტიკა, ანუ, დათვალე, ყველაზე მეტს რომელ ამბავზე წერდნენ და საუბრობდნენ და გეცოდინება, მაგრამ მარკ ტვენის ერთ-ერთ სიბრძნეს თუ გავიხსენებთ, სტატისტიკა ტყუილის ნაირსახეობაა და, მაგალითად, ხმები რომ არ ითვლებოდეს, არამედ იწონებოდეს, გასული კვირა ისეთი კი არ იქნებოდა, როგორიც იყო, არამედ იქნებოდა ბევრად უკეთესი.

ბევრად უკეთესი კი ის არის, როცა ყველა ერთმანეთს უსმენს და არა ისე, როცა ლაპარაკის უფლება მხოლოდ ერთს აქვს, მოსმენას კი ყველას თხოვენ ანაც ისე, როცა მხოლოდ ერთს ჰგონია, რომ მას აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვინ გვისმენდეს და ვინ — არა.

ჩემი ნება რომ იყოს, მოსმენის უფლებას მხოლოდ სწავლის მძებნელს მივცემდი. ტყუილად კი არ ამბობდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დავით გოგიბედაშვილი, ისმინე სწავლის მძებნელოო...

მაშ ასე — მარკ ტვენი, გურამ დოჩანაშვილი და დავით გოგიბედაშვილი.

მთავარზე მოგახსენებდით... ყოველი შემთხვევისთვის, მეც გადავთვალე და შედეგად მივიღე ის, რომ მოსმენებისა და გასაღებების თემა დიაღაც, რომ გასული კვირის მთავარი თემა იყო, მაგრამ რა იყო ის, რამაც მთავარი თემა, უფრო სწორად კი, კულმინაცია და კვანძის გახსნა განსაზღვრა?

ახლავე ვიტყვი, რომ რამდენიმე კვირაში, შესაძლოა მომავალ კვირაშიც, განმსაზღვრელი გახდება ეს — „თავდაცვის სამინისტრო ინიციატივით გამოდის მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“ შესყიდვას, რომელთან დაკავშირებითაც პროკურატურამ სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა, – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი“.

თუმცა, ხვალისა ხვალემ იკითხოს, ჩვენ კი გავიხსენოთ ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში. რამდენიმე დღის განმავლობაში ყველას ერთი ადარდებდა — უშიშროების საბჭოს სხდომა — ვინ დაესწრება? ვინ არ დაესწრება? რატომ დაესწრება და რატომ არ დაესწრება? ბოლო-ბოლო, მოხდა ისე, რომ უშიშროების საბჭოს პირველად დასდო პატივი პრემიერ-მინისტრმა და პირველად დადეს პატივი ირაკლი სესიაშვილს. როგორც ირწმუნებოდნენ, საკითხი იყო ერთი — აფხაზეთი, მაგრამ მე არ მჯერა ეგეთი რაღაცების, გადავკოცნეთ ერთმანეთი და დავიშალეთ.

იქ სხვა საკითხებიც იქნებოდა — „როგორ ხარ, რას შვრები“, „დაგვიძველდა პურმარილი“, „სადა ხარ, სად დაიკარგე“, „ახალს რას იტყვი“... ამაზე იტყვიან ხოლმე, შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარაო. შემდეგ, იყო აფხაზეთის თემა — ანუ, როგორც ამბობენ და ითქვა კიდეც, „განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები“ და უშიშროების საბჭო რის უშიშროების საბჭოა, თუ ყველაფერი გარეთ გამოვიდა და, ბოდიში მომითხოვია, ძაღლმა და ღორმა გაიგო! არადა, მთავარი გაგებაა, გაგების ამბავში კი სსრკ-ში დაბადებულ ხალხს, ვისაც ერთხელ მაინც მოუკრავს თვალი „კომუნისტზე“ და „სოფლის ცხოვრებაზე“ მარცხენა ზედა კუთხეში მიწერილი დევიზისთვის, ამ ადამიანებისთვის სტრიქონებს შორის კითხვა და, შესაბამისად, წინადადებებს შორის მოსმენა, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

აი, იმ მთავარსაც მივადექი, გასული კვირის განმსაზღვრელი რომ აღმოჩნდა. იყოს ნიუსიდან ნაწყვეტის სახით: „ჩვენ განვიხილეთ ის, თუ როგორ ვუპასუხოთ ურთულეს ვითარებას, რომელიც შექმნილია აფხაზეთთან მიმართებაში, — ამის შესახებ ჟურნალისტებს უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, გაანალიზდა არსებული საფრთხეები და დაიგეგმა ნაბიჯები, რომელსაც კოორდინირებულად გადადგამს მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი“.



ჰოპ სტოპ! და კიდევ ერთხელ, ოღონდ, ამჯერად, ნაწყვეტის ნაწყვეტი — „...დაიგეგმა ნაბიჯები, რომელსაც კოორდინირებულად გადადგამს მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი“.

ორიოდე დღეში პარლამენტს მოსმენების თემაზე უნდა ემსჯელა... იმსჯელა ისე, როგორც უნდა ემსჯელა, მთავრობამ მოითხოვა ის, რასაც მანამდეც ითხოვდა, ხოლო პრეზიდენტმა დაადო ვეტო და პარლამენტმა უარი თქვა ვეტოს დაძლევაზე და ეს ყველაფერი იყო ის დაგეგმილი ნაბიჯები, რომლებიც კოორდინირებულად უნდა გადადგმულიყო, მთავრობის, პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ.

პატარაც აღარ მეთქმის, ბევრი მინახავს და ბევრი გამიგია, მაგრამ კრება რომ ასეთი მხიარული დარჩენილიყო, პირველად ვნახე და პირველად გავიგონე. ჩვენში დარჩეს და, რა სჯობს ხალისსა და ურთიერთგაგებას? ეგ არის, რომ რაღაცები მახსენდება და ხასიათი მიფუჭდება ხოლმე. მაგალითად, უსუფაშვილის კუკარაჩასებრი „ახია ჩვენზე, რომ საერთოდ იმ საკითხზე, რომელიც შეეხება პოლიციის საქმიანობას, მოსმენას და ფარულ მიყურადებას, ორი წლის შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლებს კიდევ რამეზე ვალაპარაკებთ“.

ერთი სამწუხარო ის არის, რომ ამ ორ წელიწადში დამკვიდრებული პრაქტიკით, როცა უსუფაშვილი და ძმანი მისნი „ოპოზიციას“ ამბობენ, რატომღაც მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობენ, როდესაც ამბობენ „სამოქალაქო სექტორს“, კოჟორიძე, ლომჯარია, გიგაური, ტუღუში და, აწ უკვე, ვინმე ზვიად დევდარიანი იგულისხმებიან, მაგრამ ეგ ცოტა ქვევით. სხვა რამის თქმა მინდა. მე ხომ უსუფაშვილის კუკარაჩასეულზე მისივე ის სიტყვები გამახსენდა — ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის უპირველესი ამოცანაა.

ფეხები დავუთბილოთ დომენტი სიჭინავას და ნიკა გვარამიას, ემანდ ქართული ფეხბურთი და ქართული ჟურნალისტიკა თავზე არ ჩამოგვენგრეს.

ჰო, მართლა, რა ხდება იმ საქმეზე, აი, ნიკა გვარამიას სამუშაო კაბინეტში მოსასმენი აპარატურა რომ აღმოაჩინეს და აღმოჩენიდან წუთნახევარში ახალგაზრდა იურისტმა კოჟორიძემ რომ თქვა, ხელისუფლების ნამოქმედარია, აბა გვარამია საკუთარ თავის ფარულად მიყურადებას ხომ არ დაიწყებდაო!

ახალგაზრდაა, ჯერ ბავშვია, გაშლილ ქოლგამდე და გაფრენილ წერომდე ბევრი უკლია (თუმცა, შესაძლოა, ბევრი არ დამეთანხმოს და იქით დავეთანხმები) და ვაპატიოთ მაშინდელი აჩქარებაა თუ ამჩატება, ბევრი აქვს სასწავლი. გასულ კვირაშიც... დაადო თუ არა მარგველაშვილმა კანონპროექტს ვეტო, კოჟორიძემ მაშინვე გაიხარა — გასაღები მობილურ ოპერატორებს გადაეცემათო. კოჟორიძეს თავზე ხელი გადაუსვეს, ხელში კანონი მისცეს, პირში — ჩუპა-ჩუპსი და პოპულარულ ენაზე აუხსნეს, რომ 1 დეკემბრამდე გასაღები შსს-ს ხელში იქნება, ხოლო პირველი დეკემბრისთვის დამზადდება მეორე გასაღებიც.

მაინც, რა მუღამი და დილიხორია, რომ ფარული მოსმენის გასაღები რუსული „ბილაინის“, თურქული „ჯეოსელის“ და, ღმერთმა იცის, სადაური „მაგთის“ ხელში იყოს? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, აუცილებელია ვიცოდეთ, ვის ხელშია თავად არასამთავრობო ორგანიზაციების გასაღები.

სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ჩემი ბინის შესასვლელი კარის დამზადება და მოგვირისტება ჩემს მიერ არის დაფინანსებული და რა გასაკვირია, რომ გასაღებს მე ვფლობდე და ჩემი ნებართვით ჩემივე ნდობით აღჭურვილი პირები სარგებლობდნენ?

რავა, მაინცდამაინც შუბლზე ხომ არ უნდა დაიწერონ „დამზადებული ვარ სოროსში, მოგვირისტებული ვარ ნაციონალებში“.

ერთ-ერთ საიტზე წავიკითხე, ჟურნალისტი ეკითხება ენჯეოშნიკს, ნაცების დროს რატომ არ ლაპარაკობდით მოსმენებზე და გასაღებებზეო და თუ იცით, რას პასუხობს? მაშინ ჩვენი პრიორიტეტი ეგ არ იყოო, პრიორიტეტად გვქონდა, საარჩევნო სისტემის შეცვლა და ხელისუფლების დემოკრატიული ცვლილებაო. აი, შევცვალეთ ხელისუფლება და ახლა ამ პრობლემასაც მოვაგვარებთო.

ზემოთ სტატისტიკა ვახსენე, სტატისტიკა არის დათვლა და რომ ამბობენ, ყველაფერი დათვლადიაო, ეგ არის ურცხვი ტყუილი, რადგან ვთვალე, ვთვალე, ბოლოს ხელი ჩავიქნიე და სათაურების მხოლოდ მცირე ნაწილს გთავაზობთ:

„პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა“; „სამოქალაქო სექტორი პარლამენტს ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის ამოქმედებას სთავაზობს“; „ეკა გიგაური: მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლება და შსს უარს ამბობს მნიშვნელოვანი პრინციპების დანერგვაზე“; „ლაშა ტუღუში: ე.წ. გასაღებთან დაკავშირებული საკითხის მომზადების გადასატანად არანაირი ობიექტური მიზეზი არ არსებობს“; „ზვიად დევდარიანი: ე.წ. გასაღებთან დაკავშირებული საკითხის გახანგრძლივება დაგეგმილი იყო“; „ლაშა ტუღუში ირაკლი ღარიბაშვილს ე.წ. გასაღების საკითხზე შეხვედრას სთავაზობს“; „ეკა გიგაური: პრემიერ-მინისტრი ფაქტობრივად აღიარებს, რომ ადამიანებს დღესაც სასამართლოს გვერდისავლით უსმენენ“; „კამპანია „ეს შენ გეხება“ ირაკლი ღარიბაშვილს განცხადებით უპასუხებს“; „უჩა ნანუაშვილი: ე.წ. გასაღები არა მხოლოდ შსს-ს, არამედ კერძო კომპანიების ხელშიც უნდა გადავიდეს“; „არასამთავრობოები პრემიერ-მინისტრს მოუწოდებენ, ევროპელი ექსპერტების მოსაზრებები გაითვალისწინოს“; „კახა კოჟორიძე მიიჩნევს, რომ ე.წ. გასაღები საკომუნიკაციო კომპანიების ხელში გადადის“; „ლაშა ტუღუში: უმჯობესია, პარლამენტმა ვეტოს დაძლევაზე არ იფიქროს“; „ეკა გიგაური: ყველაზე მეტად საქართველოს პრეზიდენტის იმედი გვქონდა“...

გიგაურის ამ სიტყვების შემდეგ, სიმპტომატურია ნაციონალების რუხი (პირდაპირი გაგებით რუხი, ნაცრისფერი) კარდინალის, ლევან ბეჟაშვილის სიტყვები: „კარგია, პრეზიდენტი თუ მიხვდა, რომ თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილებები უნდა განახორციელოს“.

რაც შეეხება იმას, თუ ვის აქვს პრეზიდენტის იმედი და რატომ, აგრეთვე — ვის არ აქვს და როდემდე... ფოტოგრაფების საქმე ყველას გვახსოვს და ეს ის თემაა, რომელზე საუბარსაც ნაცები ყოველთვის გაურბიან. გაურბიან კი არა, ერთი რაღაცასავით იპარებიან ხოლმე. ნიუსი: „ფოტოგრაფების საქმეზე საიდუმლო გრიფის მოხსნის თაობაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არანაირი მიმართვა არ შესულა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, თიკო მჟავანაძემ განუცხადა. „გრიფის მოხსნასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არანაირი მომართვა არ იძებნება“, — აღნიშნა მჟავანაძემ“.

რად უნდოდა ამას მიმართვა? არა, მართლა, რად უნდა მიმართვა? უნდა?! გეკითხებით და ამასაც გეკითხებით — არაფერს გაგონებთ მჟავანაძე-მარგველაშვილისას არგუმენტი? მაშინ, გაგახსენებთ. შორენა შავერდაშვილს ჰკითხეს, რატომ არ დაეხმარა თამარ გურჩიანი თავის გაჭირვებულ მეზობელსო და, შავერდაშვილს გულწრფელად გაუკვირდა — რატომ უნდა დახმარებოდა, როცა იმ დროს ასეთ პროექტს არ ახორციელებდნენო!

დოლის გარეშე, ტიკის გარეშე ვინ გაფრენილა? გრანტის გარეშე რომელი პროექტი განხორციელებულა? პროექტის გარეშე ვინ ვის დახმარებია?

არავინ, არავის, არაფრით!!!

თუმცა, ნუ მოვახდენთ განზოგადებას, ამ ქვეყანაში წესიერი, პატრიოტი, კეთილი, მოსიყვარულე, განათლებული და მშრომელი ადამიანებიც ცხოვრობენ. დიდი ძებნა არ არის საჭირო, მით უმეტეს — ძებნა სანთლით. დაუძახე, მოვლენ და შემდეგ ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული და, საერთოდ, გაზაფხული გრანტით არ მოდის. რა არის გაზაფხული? გაზაფხული არის სითბო, მაგრამ უფრო — სიმწვანე. დაბარე, გათოხნე, შეწამლე მოუარე და გაზაფხულიც მოვა. ახლა შენ თუ გაზაფხულის მოსაყვანად სემინარს ატარებ, მაშინ მე გეტყვი, რომ გასულ კვირაში თბილისში ცოფის გავრცელების შემცირების თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა და ეს იყო ერთადერთი, რაშიც ენჯეოშნიკები არ ჩარეულან. არცაა გამორიცხული, ეს არც იყო მათი პრიორიტეტი... აკი, ნაცების დროს მოსმენები გვეკიდა, ხელისუფლების შეცვლა იყო მთავარიო. თქვენ იცინეთ და ხომ შეცვალეს ხელისუფლება და ვინ იცის, მომავალი კვირიდან იქნებ ცოფის გავრცელებასაც შეებრძოლონ.

გასულ კვირაში მართლაც არ ეცალათ. ნახეთ: „არასამთავრობოები ატესტაციის პროცესის მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩატარებას ითხოვენ“; „ზვიად დევდარიანი: სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ატესტაციის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ“; „საერთაშორისო გამჭვირვალობამ” თბილისის მერიას ატესტაციის დროს დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების თხოვნით მიმართა“...

აი, რა დაწერა სოციალურ ქსელში ლომჯარიას ქალმა, ნინომ: „მოკლედ, მერიის თანამშრომლები, რომლებმაც ტესტირების ბარიერი ვერ გადალახეს, თანამდებობაზე რჩებიან და მათი გათავისუფლება მხოლოდ გასაუბრების გავლის შედეგად გადაწყდება. გასაუბრებას კი ის საატესტაციო კომისია ჩაატარებს, რომელმაც პროცესის დაკვირვებაზე „სამართლიან არჩევნებს“, საიას და გამჭვირვალობას უარი განუცხადა სრულიად გაუგონარი და ცინიკური მიზეზების გამო. გეტყვით, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტს, გარდა თბილისისა, დაკვირვებაზე ჩვენთვის უარი არ უთქვამს. მერის გადაწყვეტილებით ჩვენ ალბათ დაგვიშვებენ, თუმცა მნიშვნელოვანი შეზღუდვებით. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი რამ ხდება, სამწუხაროა, თუკი ვერ ხვდებიან, რომ ეს ატესტაციის პროცესის სამართლიანობას მიაყენებს ჩრდილს და არა ჩვენ ორგანიზაციებს Eka Gigauri Kakha Kozhoridze Zviad Devdariani“.

*დასასრული მე-3 გვერდზე*

# ცრემლები და ოინები

*მე-2 გვერდიდან*

ეუფფფფფ!!! დამბურძგლა!

მაგრამ, ეგენი იქით იყვნენ, შორს... წადი შორს წადი და რამე... შორს, სადაც ბევრჯერ გამიგზავნიხართ. მოკლედ, ეგენი შორს იყვნენ და ამ ატესტაციებზე ერთი კარგად გამეცინა. როგორც იქნა, მიმინოშვილის ქალმა, მაიამაც წარმოთქვა ისეთი, იზ იადა ვონ ვიხაძიაშჩი, ანუ ქუუულ. ახლა, რა მოხდა. მოხდა ის, რომ თბილისის მერიის მოხელეთა ტესტირებაზე 486 მონაწილე აპლიკანტიდან მინიმალური ზღვარი ჯამში 196-მა გადალახა, ანუ ვერ გადალახა 390-მა, ხოლო მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, მერიის თანამშრომელთა ტესტირების პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობსო.

აბა, პანაშვიდზე აყალმაყალი რომ მომხდარიყო, არც მე მინახავს და არც გამიგია.

არადა, რას არ მოისმენ, რას არ გაიგებ, რას არ ნახავ. ეს ნიუსი, რასაც ახლა წაგაკითხებთ, გასული კვირის დასაწყისში წავიკითხე — სპექტაკლი გაიმართებაო. საშუალება მქონდა, მივსულიყავი, მენახა... არ წავედი. თქვენ წახვიდოდით?

„ცნობილი ქალების მონაწილეობით, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში, ხვალ, სპექტაკლი „სასიკვდილოდ დაჭრილი ქალები“ გაიმართება. სპექტაკლი წარმოადგენს პროექტს ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქალბატონები, რომლებიც სცენიდან მოგვითხრობენ ქმრის, საქმროს, საყვარლისა თუ ყოფილი მეგობარი მამაკაცის მიერ მოკლული ქალების ნამდვილ ისტორიებს. ისინი ამ თემებზე მონოლოგებს წაიკითხავენ. იტალიის ელჩის განცხადებით, წარმოდგენის მიზანია, საზოგადოების, მედიასაშუალებებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების ყურადღების მიპყრობა ქალთა ძალადობის აღმოფხვრისთვის მიმართ. უფრო კონკრეტულად, სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ იტალიის ელჩი ფედერიკა ფავი, ასევე მაკა ჩიჩუა, ანუკი არეშიძე, მაია ასათიანი, თამარ ბერუჩაშვილი, ერიკა კრაპილოვა, ეკა მიშველაძე, ტურკ პირიო, ნინო სუხიშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, მაია ფანჯიკიძე, ნათია ფანჯიკიძე, რუსუდან ფეტვიაშვილი, ლანა ღოღობერიძე და თეა წულუკიანი. პროექტი დაფინანსებულია იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიერ, ღონისძიების ორგანიზატორია იტალიის საელჩო“, — იტყობინებოდა „ინტერპრესნიუსი“.

საღოლ მითქვამს. საღოლ, სიმონ! მაგრამ სხვები? სად იყვნენ სხვები? როგორც ვხვდები, ხათუნა გოგორიშვილისთვის სცენაზე ადგილი არ მოინახა, მაგრამ ირმა ნადირაშვილი? ააა, მაგისთვის ჰაერი ვერ გაიმეტეს. ჩიორა თაქთაქიშვილი? ალბათ, რეკვიზიტებს შორის ბამბაზიის ხალათი არ აღმოჩნდა... სამაგიეროდ, მსახიობთა შორის მაია ასათიანის გამოჩენა მაფიქრებინებს, რომ სპექტაკლის ე.წ. მასოვკაში სულ რესპექტაბელური, ნარჩევი ბოზები იქნებოდნენ დასაქმებულები.

ჰოოო... რუსუდან ფეტვიაშვილი... სასიკვდილოდ დაჭრილი ქალები, და 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამე, დილით — გვამები სახურავზე, შუადღისას — მკვლელების ხელიდან მიღებული ღირსების ორდენი, საღამოს კი, რაზეა ლაპარაკი — ბოთლი შამპანური და ინტერვიუ ვამპირთან.

როგორ უცებ ავიწყდება ამ ხალხს ყველაფერი, ან, იქნებ, ფიქრობენ, რომ ჩვენ გვავიწყდება. თუ ეგრე ფიქრობენ, ე.ი. არ გვიცნობენ და, თქვენ ხომ უკვე გაგვეცანით და ახლა ჩვენც გაგვიცანით.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი კავშირი „ჩვენი ბავშვებისა“ და ეროვნული გალერეის ერთობლივი პროექტის „გამიცანის“ პრეზენტაციას დაესწრო. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა ცნობადობის გაზრდისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით ხორციელდება“.

რამდენჯერმე გავაცანი გარემოს დაცვის ინსპექციის ზონდერ-შემადგენლობა პარლამენტის მთავარ მეტყევეს, გია ცაგარეიშვილს, ვუთხარი კონკრეტული გვარები, კონკრეტული საქმეები, მაგრამ ორი ყურიდან ერთიც არ შეუბარტყუნებია. სამაგიეროდ, კარგად გვახსოვს მის თვალთაგან დადენილი ცრემლი და ჯერ სად ხართ, კიდევ ვიხილავთ.

ჰოდა, ახლა ელგუჯა ხოკრიშვილს ვეუბნები: გაიცანი თემურ გელდიაშვილი, გაიცანი მთელი ის ნაც-ბოზ-ზონდერ ბანდა, თორეეემ...

თორემ, წავიდა თამარ ჩუგოშვილი და მოვიდა არმაგედონის ზანგი!!!

მერე არ დაიწყოთ, წასვლა პრობლემა არ არის, ცოლ-ქმარიც იყრებაო. აგერ, ღარიბაშვილმაც თქვა და ნიუსში ასე იყო: „ცოლ-ქმარი შეიძლება გაიყაროს, ერთმანეთში ძმები ჩხუბობენ და თუ კოალიციის წევრებს შორის გაუგებრობა მოხდება და რომელიმე წევრი მას დატოვებს, პრობლემა არ არის, — ასე პასუხობს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სახელისუფლებო კოალიციის შესაძლო დაშლის თაობაზე დასმულ კითხვას“.

კი, კაცო, ცოლ-ქმრის გაყრის მეტი რა მსმენია, მაგრამ მსმენია, რომ მანამდე ქმარი ლოთობდა, ცოლი ბოზობდა, ერთმანეთს ურტყამდნენ და არ ახარებდნენ. ასევე ძმებიც — რა ქონდათ და იმასაც ვერ იყოფდნენ, ჩხუბობდნენ, ვიღაცის ენებს უსმენდნენ, ერთმანეთს რაღაცებს აბრალებდნენ, უკადრებელს კადრულობდნენ და ვიღაც ხარობდა.

ეს იმიტომ ვთქვი, რომ... აი, თავშიც ხომ ვთქვი, რომ რამდენიმე კვირაში, შესაძლოა მომავალ კვირაშიც, განმსაზღვრელი გახდება ეს - „თავდაცვის სამინისტრო ინიციატივით გამოდის მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“ შესყიდვას, რომელთან დაკავშირებითაც პროკურატურამ სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა, – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი“.

ჰოდა, სანამ „ა ლია ამალია“ დისკუსიები მთელი ძალით ხურდება, 15 ნოემბერი ახლოვდება, ირაკლი სესიაშვილი კი უშიშროების საბჭოს იმ დოკუმენტებზე გრიფი „საიდუმლოს” მოხსნას ითხოვს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს ლობისტური კომპანიებისთვის 100 მილიონის გადარიცხვას ეხება.

რავა, ორი წელი გავიდა და ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ? მეთქი, უკვე მოხსნეს, ნაცები სუფთები, ალალმართლები ყოფილან, მეთქი, წავალ 15 ნოემბერს და ვიყვირებ „მიშა მაგარია, გოგორიშვილი ლამაზია“.

კიდევ არ მოგიხსნიათ? მაგაზეც საღოლ მითქვამს. საღოლ, სიმონ! სიმონებო!!! ეგრე შორს ვერ გავფრინდებით, ეგრე ადგილზე ვიდგებით და ხომ იცით, როგორც არის — ერთ ადგილზე დგომით აღმოსავლეთისკენ მოძრაობ, მზე კი ჩრდილოეთიდან ამოდის.

**ე.დ.შ (ეგრეა და... შეეკითხე) მოთმინებით გამართა მან ახალი ხელსაწყო, თანასოფლელ კაცებთან ერთად ოთახში ჩაიკეტა და მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით, თუმცა ამ დასკვნებისა ვერავინ ვერაფერი გაიგო, ახალი საოცარი აზრი გამოთქვა: თუ სულ აღმოსავლეთისკენ ვივლით, ისევ იმ ადგილზე დავბრუნდებით, საიდანაც გზას დავადექითო**

*(გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელი“)*



# ვინ ცდილობს ორი ირაკლის დაპირისპირებას

## რატომ ახსენებენ კულუარებში „კაბელების საქმეზე“ საუბრისას გია ხუხაშვილს, ლაშა ნაცვლიშვილსა და დავით საგანელიძეს

გიორგი გიორგაძე

**ქართულ პოლიტიკაში მითების მსხვრევის ჟამი დგას, რაც ნიშნავს, რომ მოსაზრება, ირაკლი ალასანია „ხმას არასოდეს აუწევსო“, წარსულს ჩაბარდა. ყოველ შემთხვევაში, ევროპული ტურნედან დაბრუნებულმა თავდაცვის მინისტრმა ვიღაც დუელში რომ გამოიწვია, ეს შემდეგი განცხადებიდანაც ჩანს: „მთავარი, რაზეც კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ, ის არის, რომ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. ამას სჭირდება გამჭვირვალე გამოძიება. დარწმუნებული ვარ ჩემი თანამებრძოლების, ჩემი თანამშრომლების სრულ უდანაშაულობაში იმიტომ, რომ ვაკვირდებოდი შესყიდვების პროცესს და ვიცი, ყველაფერი კანონთან სრულ შესაბამისობაში კეთდებოდა, თუმცა, რადგან კითხვები გაუჩნდა ვიღაცას, ამას უნდა გაეცეს პასუხი“.**

ვინ არის „ვიღაც“? — ეს „ოცნების“ ხელისუფლების ორწლიანი მმართველობის ყველაზე დამაინტრიგებელი კითხვაა, კითხვა, რომელსაც პასუხი ან გაეცემა, ან თაროზე ნაციონალების რეჟიმის დროს მომხდარი მკვლელობების საქმეების მსგავსად, მტვერი შეჭამს.

სხვათა შორის, დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ თავდაცვის სამინისტროში „აწეულ“ სკანდალზე საუბრისას, პრემიერი მკვეთრი განცხადებების გაკეთებას მოერიდა და კითხვა, ალასანია თანამდებობას დატოვებს თუ არა, ღიად დატოვა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ კორუფციის ფაქტის შესწავლა რამდენიმე თვის წინ ანუ მანამ დაიწყო, ვიდრე თავდაცვის მინისტრი განაცხადებდა, რომ 8 ნოემბერს პარტიის ყრილობას მართავს და „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარედ ბრუნდება.

პოლიტიკური მიმომხილველები კარგა ხანია, ამბობენ, რომ ვიღაც ორი ირაკლის დაპირისპირებას ცდილობს. ამ მოსაზრების მიხედვით, ეს ვიღაც ისაა, ვისაც ქვეყნის დასუსტება აქვს განზრახული. ჩვენში დარჩეს და, ალასანიას განცხადებაც, პრინციპში, მსგავს მესიჯებს „შეიცავდა“.

ვის აძლევს ხელს ქვეყნის დასუსტება? — ეს რიტორიკული კითხვა, ბუნებრივია, არ არის, რამეთუ ყველამ კარგად ვიცით, რომ 200 წელია, საქართველოში რუსული „მეხუთე კოლონა“ მოქმედებს. ისინი, ვინც თავს კრემლისტებად მიიჩნევენ, ამ მოსაზრებას, უეჭველი, გააპროტესტებენ, მაგრამ ფაქტი ასეთია:

მაშინ, როცა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გადარჩენისთვის იბრძვის და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიილტვის; მაშინ, როცა ქვეყნის მთავარი სამხედრო სწორედ ამ ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრ ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, ცნობილი ხდება, რომ თავდაცვის სამინისტრო დიდი კორუფციის ბუდეა.

საერთოდ, საათივით აწყობილი ჯარი მხოლოდ ბრძოლისუნარიანობას კი არა, კორუფციასა და სხვა მერკანტილური მიდრეკილებებისგან გათავისუფლებასაც ნიშნავს და ესაა სწორედ ნატო-ს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. ჰოდა, ამ ფონზე რამდენიმემილიონიანი კორუფცია მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს — ქვეყანას, რომელსაც კორუმპირებული თავდაცვა აქვს, ნატო-ში არაფერი ესაქმება!

პარლამენტის თავმჯდომარეს, მართალია, ეს აზრი სიტყვასიტყვით ასე არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ დავით უსუფაშვილმა მკვეთრად განაცხადა: „როდესაც დილით აფრინდა თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავი და იგი საფრანგეთსა და გერმანიაში ნატო-ს საკითხებზე კოლეგებთან შეხვედრაზეა, ჩემი აზრით, არ არის სწორი საქციელი, ამ ვითარებაში ბერლინში ან პარიზში მინისტრმა პირველ ნიუსად, მისი თანამშრომლების დაკავების შესახებ შეიტყოს. პროკურორს ვერ ვეტყვი, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ როდესაც ებრძვის კორუფციას, ისიც უნდა იცოდეს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ დააზიანოს. არ მინდა დავიჯერო, ვინმემ სპეციალურად, ალასანია რომ გაფრინდა, მაშინ გამოიტანა ეს საკითხი საჯაროდ. რომ გავითვალისწინოთ ამ ტიპის საკითხები და თავიდან ავიცილოთ ზედმეტი აჟიოტაჟი, რა თქმა უნდა, სწორი და კარგი იქნება“.

მაშასადამე, ვიღაც „მესამის“ თემა, როგორც ზემოხსენებული კომენტარებიდან ჩანს, ქვეყნის უმაღლეს ეშელონებშიც განიხილება. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, თავდაცვის სამინისტროს კაბელების სკანდალმა ე.წ. ტრაქტორების საქმის ბედი გაიზიაროს — ბოლოს, ალასანიას ბოდიში მოუხადონ ან, სულაც, უფრო გასკანდალდეს და ყველაფერში დამნაშავენი საქმის მწარმოებელ-გამომძიებლები აღმოჩნდნენ.

ამ ვერსიას, ვინმეს მოეწონება თუ არა, არსებობის უფლება აქვს, მით უფრო იმ ფონზე, როცა თეთრი სახლი, საქართველოში აშშ-ს ელჩის განცხადებით, ალასანიას სრულად ენდობა.

„მეხუთე კოლონის“ გარდა, არის კიდევ ერთი ვერსია, რომელზეც კულუარებში შეფარვით საუბრობენ ანუ ამბობენ, რომ ჯერ კიდევ იმ დღიდან, როცა „ოცნებამ“ ჩასახვა დაიწყო, ვიღაც-ვიღაცები ცდილობდნენ, ორი ირაკლის ურთიერთობას „შლეიფად“ დაძაბულობა ჰქონოდა. ეს ტენდენცია, თურმე, დღემდე გრძელდება და ამ კუთხით, თუ კულუარებიდან გამოჟონილ ხმას გავყვებით, განსაკუთრებით რამდენიმე პიროვნება აქტიურობს.

მაგალითისთვის, სახელდება უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, რომლის კადრებითაც პარტია „ქართული ოცნების“ თბილისის ოფისები ყოფილა დაკომპლექტებული.

„ვერსიის“ ინფორმატორის ინფორმაციითვე, ალასანიას წინააღმდეგ კამპანიის კვალი, შესაძლოა, გია ხუხაშვილსა და ლაშა ნაცვლიშვილამდეც მივიდეს. მართალია, ეს ადამიანები დღეს „ოცნებისგან“ დისტანცირებულნი არიან, მაგრამ პოლიტიკურ თამაშებში კარგად გამოწრთობილები ამბობენ, რომ „ოცნების“ „სტაფს“ თავდაცვის მინისტრზე ნეგატიურ ინფორმაციებს, შხამისა არ იყოს, წვეთ-წვეთად აწვდიდნენ.

ასე რომ, ყველაფერი შეიძლება, რთულად კი არა, ძალიან მარტივადაც არის და საქმე ჩვეულებრივ პარტიულ ინტრიგასთან გვაქვს, რომლის მიზანიც ირაკლი ალასანიას „გვერდზე გაწევაა“.

საგულისხმოა, რომ თავად კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობა. აი, მაგალითად, „მრეწველი“ ზურაბ ტყემალაძე პირდაპირ ამბობს, რომ ალასანიასთან, როგორც თავდაცვის მინისტრთან, კითხვები არ აქვს.

„ირაკლი ალასანიასთან არანაირი კითხვა არ მაქვს. მინდა, მას გვერდში დგომა აღვუთქვა. დარწმუნებული ვარ, თავდაცვის მინისტრს პირადად არანაირი შეცდომა არ აქვს“, — აცხადებს უმრავლესობის წევრი ტყემალაძე.

თუ წმინდა იურიდიული კუთხით მივუდგებით, „კაბელების საქმეში“ ბევრი საეჭვო გარემოება იკვეთება. მაგალითად, საინტერესოა, რატომ ადევს გამოძიებას გრიფი „საიდუმლო“, მით უმეტეს მაშინ, როცა თავად თავდაცვის სამინისტრო ნაწილობრივ გასაიდუმლოებას ითხოვს.

რა იმალება გრიფი „საიდუმლოს“ უკან? — ეს ბევრი ვარიაციის საშუალებას იძლევა. შეიძლება, „ძაღლის თავი“ სწორედ ისაა, რომ სახეზე კლასიკური პოლიტიკური ინტრიგა გვაქვს, რომლითაც ვიღაც თუ ვიღაცები კარიერის აწყობას ცდილობენ, თუმცა კაბელების საქმე, მსგავსების მიუხედავად, ტრაქტორების საქმე არ არის ანუ ამჯერად ლაპარაკი ქვეყნის თავდაცვაზეა, რომელსაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები, როგორც იტყვიან, გამადიდებელი შუშით აკვირდებიან და, შესაბამისად, ყველაფერს სკურპულოზურად შეისწავლიან.

## სამთო სადაზვერვო ბატალიონი ავღანეთიდან დაბრუნდა

147 სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდა. გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და ISAF-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები კოალიციურ ძალებთან ერთად სრული სპექტრის ოპერაციებს ასრულებდნენ. სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ყანდაღარის პროვინციაში 7 თვის განმავლობაში მსახურობდნენ და საქართველოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ. ყანდაღარის პროვინციის ბაზა 31 ოქტომბერს დაიხურა. უახლოეს მომავალში სამშობლოში სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სრული შემადგენლობა დაბრუნდება.

*„ინტერპრესნიუსი“*

## სულხან მოლაშვილი 2006 წლის განაჩენსაც გაასაჩივრებს

კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის, სულხან მოლაშვილის მიმართ ქართული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, გარდა წამების მიმართულებით ხელახალი გამოძიებისა, სააპელაციო სასამართლოშიც გასაჩივრდება, — აცხადებს მოლაშვილის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი.

როგორც ბარათაშვილმა აღნიშნა, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ის ახალი გარემოებაა, რომლის საფუძველზეც განაჩენი გასაჩივრდება.

მისივე თქმით, სულხან მოლაშვილის მიმართ 2006 წელს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების ვადა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, განსაზღვრულია 2015 წლის 23 ოქტომბრამდე.

ადვოკატის თქმით, სააპელაციო სასამართლოში მოლაშვილის მხრიდან მოთხოვნილი იქნება მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება. ადვოკატი ვარაუდობს, რომ გასაჩივრების შედეგად გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდება.

როგორც სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, საქმეში არსებული დარღვევებისა და მტკიცებულებების ფონზე, ელოდება, რომ სააპელაციო სასამართლო მოლაშვილის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. კონკრეტული თარიღი, თუ როდის შეიტანს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სააპელაციო სასამართლოში სარჩელს, ჯერ უცნობია.

რაც შეეხება წამების მიმართულებით გამოძიებას, ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულზე ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებამ აიღო და მიმდინარე პროცესებს მეთვალყურეობას გაუწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

ევროსასამართლოში სულხან მოლაშვილის სარჩელის შესახებ განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ორი დღის წინ გაკეთდა.

**„სულხან მოლაშვილის მიმართ, ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან მისი უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას ჰქონდა ადგილი. წინა ხელისუფლებაც იძულებული გახდა, აღიარების წერილი გაეგზავნა სტრასბურგში და დაეწყო მოლაშვილთან მორიგების პროცედურა, მაგრამ ამის შემდეგ დავა გაგრძელდა, რადგან წინა ხელისუფლებასა და მოლაშვილის ადვოკატებს შორის ვერ ხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა მორიგების ტექსტის თაობაზე. ჩვენ ეს პროცედურა დავასრულეთ და სტრასბურგის სასამართლომ ეს საქმე დახურა, რომლის ძალითაც ჩვენ, სახელმწიფოს დაგვეკისრა 20 ათასი ევროს გადახდა“**, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ ივალდებულა, რომ მოლაშვილის საქმეს ხელახლა გამოიძიებს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ბიძინა გუჯაბიძე პოლიტიკიდან მიდის!

## „მეუბნებით, რაფომ არ ხართ აქტიურიო, მაშინ რეჟიმს ვებრძოდი და ახლა რომელ რეჟიმს ვებრძოლო — „ოცნებაა“ ხელისუფლებაში!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რუბრიკა „პრეს-ვერსიის“ დღევანდელი სტუმარი კონსერვატორი ბიძინა გუჯაბიძეა, რომელიც ბევრს ეროვნული მოძრაობიდან ახსოვს, ბევრს მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერობიდან, ბევრსაც კი, ე.წ. ქუჩის ოპოზიციონერობიდან, როცა ნაციონალთა მმართველობას ხან კარავში აპროტესტებდა, ხან საკანში და ხანაც რუსთაველზე... მას მერე კი, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, ძალიანაც რომ შეეცადოთ, მის ერთ მკვეთრ გამოსვლასაც ვერ გაიხსენებთ. ერთი სიტყვით, ბიძინა გუჯაბიძე „ვერსიას“ პასიურობის მიზეზებზე ესაუბრა.**

**— დეპუტატი გახდით, ჩოხა ჩაიცვით, ქამარ-ხანჯალი შეიმოირტყით და პოლიტმოღვაწეობაც დაამთავრეთ, არა?**

— რას ჰქვია, დავამთავრე?! საკანონმდებლო პროცესში ყველანი ვმონაწილეობთ, ოღონდ არ ვყვირით. გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვარ და იმ კანონებზე ვმუშაობ, რაც კომიტეტში შემოდის — 70-ზე მეტი კანონი მივიღეთ და არსებულ კანონში ცვლილებაც შევიტანეთ.

**— რა ვიცი, ჩვენს გარემოს მაინც არაფერი ეტყობა...**

— ჩვენი კომიტეტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება ენერგეტიკის სამინისტროს ჰქონდა, რაც ნონსენსი იყო — ენერგეტიკის სამინისტრო გარემოს რესურსებს მოიხმარს და გარემოს როგორ დაიცავდა?! ასე რომ, გარემოს დაცვაზე კონტროლი გავამკაცრეთ.

**— საამისოდ 2 წელზე მეტი დაგჭირდათ?**

— არა, ეს შარშან გავაკეთეთ.

**— წელს რაღა გააკეთეთ?**

— წელს მივიღეთ კანონები დაცულ ტერიტორიებზე, გამოვყავით 18-დე დაცული ბუნების ძეგლი.

**— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ ხალხს ტყის მეგობარი კი არა, ის ბიძინა გუჯაბიძე სჭირდება, რომელიც 2012 წელს საარჩევნო კამპანიას კარვიდან აწარმოებდა?**

— არ შეიძლება, ქვეყანა მუდმივად რევოლუციურ რეჟიმში ცხოვრობდეს. როცა ხელისუფლება შესაცვლელი იყო, მაშინ აქტიურებიც ვიყავით და ჰიპერაქტიურებიც, ახლა კი ამის არც ასპარეზია და არც საჭიროება.

**— შიმშილობდით, კარავში იჯექით, ყველა მოვლენაზე თქვენი აზრი გქონდათ. დღეს, როცა ამდენ ქალს კლავენ და ხალხს ქუჩაში ხოცავენ, ხმას რატომ არ იღებთ?**

— მკვლელობების სტატისტიკა შემცირებულია. მაინცდამაინც რიცხვებს ნუ გამოვეკიდებით.

**— აბა, ქუთაისიდან თბილისამდე თქვენს ბრონირებულ ჯიპებს გამოვეკიდოთ?**

— სხვათა შორის, ჩვენი სამსახურეობრივი მანქანები, რომელიც „ოცნებას“ ექსპლუატაციაში 2 წელია ჰყავს, მანამდე, 5 წლის განმავლობაში, ნაციონალებს ჰყავდათ. ამ ძველი ავტოპარკის შენახვა ორჯერ მეტი გვიჯდება, ვიდრე ახლის შესყიდვა, თუმცა იმის გამო, რომ ამან ხალხში მითქმა-მოთქმა არ გამოიწვიოს, ახალ მანქანებს არ ვყიდულობთ. მომავალ წლამდე ავტოპარკის განახლებას ვერიდებით.

**— გაისად რამდენი მანქანა უნდა იყიდოთ?**

— ალბათ, რამდენიმეს შევიძენთ და ვეცდებით, ძალიან ძვირადღირებული მანქანები არ იყოს. იაფი მანქანების მეტი რა არის? პარლამენტში სულ 30 ადამიანს ჰყავს მანქანა, ავტოპარკი დიდი არაა, მაგრამ რაცაა, იმასაც განახლება სჭირდება.

**— მოდით, რეალურ პრობლემებზე ვისაუბროთ, მაგალითად რუსეთ-აფხაზეთის ფაქტობრივ ინტეგრაციაზე...**

— ამაზე პარლამენტმა განცხადება გააკეთა და ჩემი პოზიციაც იგივეა. კეთილგონივრულია აფხაზებისთვის პრემიერ ღარიბაშვილის შეთავაზება, რუსეთთან ყოფნას, დემოკრატიული საქართველოს ფარგლებში იყავით და გქონდეთ ავტონომიაო. ნაციონალებმა ეს ფრაზა სამასხარაოდ აიგდეს, მაგრამ, როცა აფხაზეთს შენთან თანაცხოვრების ყველა შანსს უსპობ, იძულებულია, აგრესორსაც კი შეეკრას. აფხაზურ საზოგადოებაშიც არის განსხვავებული აზრი — იციან, ამ ხელშეკრულების ხელმოწერით, რუსეთი მთლიანად ჩაყლაპავს და ეს არ სურთ.

**— ბატონო ბიძინა, იმის თქმა გინდათ, აფხაზეთი რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ შეეკრა?**

— აფხაზეთი რუსეთს საკუთარი თავის წინააღმდეგ შეეკრა. ეს ცუდი პროცესია, მაგრამ ჩვენ არ დაგვიწყია და ნაციონალებისგან მემკვიდრეობით მივიღეთ.

**— ორი წლის წინ ადიგენის მაჟორიტარობისთვის იბრძოდით და იქაურებს სწორედ მძიმე მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას პირდებოდით. მას მერე, რაც მაჟორიტარულ არჩევნებში დამარცხდით, ადიგენზე ხელი დაიბანეთ?**

— იმ ადამიანებთან, ვინც ნაციონალების პროვოკაციებს არ წამოეგო, ურთიერთობა დღემდე მაქვს, მათთან კი, ვინც არაადეკვატური ბრალდებები წამომიყენა, კავშირი გავწყვიტე. ეს ჩემი შტაბის ზოგიერთ წევრსაც ეხება. ჯერ ამბობდნენ, თითქოს 4 მილიონი ავიღე და მაჟორიტარის მანდატი ამიტომ დავთმე, მერე ეს თანხა შემცირდა და 300 000 ლარი გახდა, ბოლოს, 100 000-ს ჩამოვცდი.

**— ბოლოს და ბოლოს, რამდენი აიღეთ? ისიც ითქვა, კოალიციის სიით იყო დაზღვეული და მანდატს ადვილად ამიტომ შეელიაო.**

— ჯერ ერთი, როცა ადიგენში მაჟორიტარად გამამწესეს, პარტიულ სიაზე ლაპარაკი არც იყო. ადიგენში წასვლა ბიძინა ივანიშვილმა პირადად შემომთავაზა, რადგან ამ რაიონს ყველა ერიდებოდა. პოლიტიკურ ვითარებას ასე დასჭირდა, ბრძოლას არ გავექეცი და ამ რაიონში, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის ორ სოფელშიც — უდე-არალში იმაზე მეტი ხმა მივიღე, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა.

**— ახლა, როცა სადავო შენობის გამო 14 ადამიანი დაიჭირეს და ჭელაში, რელიგიური მოტივით, მინარეთი ჩამოიღეს, პოზიციის ქონა პოლიტიკურ ვითარებას აღარ სჭირდება თუ რატომ დუმხართ?**

— ადგილზე მუსლიმთა თემი, პოლიცია, გამგეობა მუშაობს. თუ რამეს შემეკითხებიან ან შუამავლად გამოვდგები, მზად ვარ. ახლა კი ჩემი ჩარევა რომელიმე რელიგიური ჯგუფის სასარგებლოდ, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. როგორც ვიცი, იმ სადავო შენობაში არც მეჩეთი ყოფილა. ეს იყო მართლმადიდებლური ტაძრის ნანგრევზე აშენებული ნაგებობა, რომელიც 1941 წელს იქ დასახლებულმა ე.წ. თურქმა მესხებმა მიისაკუთრეს. ახლა ორივე რელიგიურ ჯგუფს ერთი და იგივე პრეტენზია აქვს. ვეძებთ გამოსავალს — იმ შენობაში კულტურულ-საგანმანათლებლო კერა შეიქმნას და მუსლიმებმაც ისარგებლონ და მართლმადიდებლებმაც. რა, ეს შენობა რომელიმე ერთ ჯგუფს მივაკუთვნოთ და მეორე დავაზარალოთ?! გარკვეულწილად, ეს მართლაც რელიგიური შუღლია, ოღონდ საწყის ეტაპზე და ხელისუფლება სწორედ მის განეიტრალებაზე მუშაობს.

**— ნაციონალების მაჟორიტარის, ზურაბ ჩილინგარაშვილის თქმით, ამ შუღლს „ოცნება“ აღვივებს.**

— ჩილინგარაშვილს თავის ცოდვები აქვს და იმას მიხედოს. ამ კაცის თემა ჯერ არ დახურულა. ვიცი, მის წინააღმდეგ საქმე იყო აძრული — სტადიონზე შენობის დაწვა, კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა და ა.შ. გამოძიება ახლაც მიდის, მაგრამ დეტალებით აღარ ვინტერესდები. არ ვაპირებ, ამ საქმეში კატალიზატორის როლი შევასრულო, მერე რომ არ თქვან, რაკი არჩევნები წააგო, სამაგიეროს უხდისო. რომ მეუბნებით, რატომ არ ხართ აქტიურიო, მაშინ რეჟიმს ვებრძოდი და ახლა რომელ რეჟიმს ვებრძოლო — „ოცნებაა“ ხელისუფლებაში, ნაციონალების რეიტინგი კი კვდება.

**— აბა, რაღას გაიძახის მთავრობა, 15 ნოემბერს გადატრიალებას აწყობენ და ქართულ მაიდანს აპირებენო?**

— ჩემი აზრით, აქციაზე 1 500-2 000 ადამიანი გამოვა, რაღაცას იყვირებს და დაამთავრებს. სულაც არ ვფიქრობ, რომ სააკაშვილი წაღებულ მილიონებს უკან მოიტანს და ამ 15 ნოემბრის აქციაში ჩადებს.

**— ბატონო ბიძინა, პარლამენტში თქვენც პულტზე თითისდამჭერი ხართ?**

— არა, გენაცვალე, ყველაფერი შეგნებული და გააზრებული გვაქვს და ისე ვმუშაობთ. არავითარი თითისდამჭერები ჩვენ არ ვართ.

**— დეპუტატი ბიძინა გუჯაბიძე მოგწონთ?**

— უფრო მეტი შეიძლება გაკეთდეს. რეფორმები საჭიროა, მთელი სისტემა დასახვეწია და ამ პროცესში ჩემი აქტიურობა ჯერ გამოკვეთილი არაა, თუმცა ყველაფერ ამას მოთმინება სჭირდება.

**— და კიდევ ერთი სადეპუტატო ვადა?**

— არა, არა! პოლიტიკურ პროცესებში ჩემი მონაწილეობის საჭიროებას 2016 წლიდან ვეღარ ვხედავ, არ ვარ დარწმუნებული, რომ მომავალ არჩევნებში კიდევ საჭირო ვიქნები — პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებ! სხვებზე არ ვიტყვი, თუმცა შემდეგ პარლამენტში ჩემს ადგილას უკეთესი დეპუტატი უნდა შევიდეს. თავს მომავალ პარლამენტში ვეღარ ვხედავ, შემდეგი პარლამენტი კი ამჟამინდელზე გაცილებით უკეთესი უნდა იყოს!

# ექსპერტების ვერდიქტი მთავრობის ორწლიან ანგარიშზე

გიორგი იაშვილი

**გასულ კვირას, მთავრობის ორი წლის მუშაობის შეფასებისას, ექსპერტებმა მიმოიხილეს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიში მოსახლეობისადმი. სხვადასხვა ექსპერტმა ანგარიშის განსხვავებულ დეტალებზე გააკეთა აქცენტი, მაგალითად, სოსო გალუმაშვილი „ჯეპრადან“ მიიჩნევს, რომ მართალია, ანგარიში მთლიანად შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მასში ნაკლები დრო ეთმობოდა კულტურისა და განათლების მიმართულებებს.**

**„ძირითადი აქცენტი მაინც გაკეთებული იყო ეკონომიკაზე, რადგან მთავარი გამოწვევა და ეს არაერთმა კვლევამ აჩვენა, სწორედ ეკონომიკის აღმავლობა და განვითარებაა. ერთის მხრივ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ამის ხარჯზე ცოტა ნაკლებად იყო საუბარი ისეთ სფეროებზე, როგორიცაა განათლება და კულტურა. ვფიქრობ, იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები შესრულდეს, მნიშვნელოვანი იქნება, გარკვეული რეფორმები სწორედ ამ მიმართულებებითაც განხორციელდეს“,** — ამბობს გალუმაშვილი.

გალუმაშვილი მიიჩნევს, რომ მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს განწყობა, რომელიც გაუჩნდა საზოგადოებას მას შემდეგ, რაც განხორციელდა რეფორმები სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვაში. მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მთავრობის ინიციატივები, თუმცა მოითხოვა ამ რეფორმების გაღრმავება და გაფართოება.

**„ეს გამოწვევაა მთავრობისთვის, რაც მას მოდუნების საშუალებას არ მისცემს. კარგი იქნებოდა, თუ მთავრობის მეთაური გარკვეულ დროს მთლიანად მთავრობის შეფასების კრიტიკასაც დაუთმობდა. საინტერესო იქნებოდა ღარიბაშვილის ხედვა თუ რა ცვლილებები ვერ გაატარეს, რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი და როგორ ხედავს ამ საკითხების მოგვარების პერსპექტივას მომავალში,“** — ამბობს გალუმაშვილი.

„ჯეპრას“ კონსულტანტის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ისეთ მიღწევებთან ერთად, როგორიცაა მაგალითად, დემოკრატიული რეფორმები და მედიის თავისუფლება (ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა მედიის თავისუფლების ინდექსში), მეტი აქცენტი გაკეთებულიყო იმ დადებით პერსპექტივებზე, რომლებსაც საქართველო მიიღებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით.

ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება — წარმოედგინა გაკეთებულის დეტალური ანგარიში საზოგადოებისთვის (ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებდნენ გაკეთებული საქმეების არწარმოჩენისა და არასაკმარისი ინფორმაციისთვის, რასაც სათავისოდ იყენებდნენ ოპონენტები) და ასევე პრემიერ-მინისტრის პოზიცია აფხაზეთთან მიმართებაში.

ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში, ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი, მამუკა ბოკუჩავა აღნიშნავს, რომ ჯანდაცვაში გატარებულმა რეფორმებმა შედეგად მოიტანა ექიმთა ხელფასების ზრდა.

**„საყოველთაო დაზღვევით მოიმატა იმ პაციენტთა რაოდენობამ, ვისაც რეალურად დახმარება აღმოუჩნდა, აქედან გამომდინარე ვინაიდან პაციენტთა დინებამ იმატა, როგორც ამბულატორიებში ისე კლინიკებში სტაციონალური მომსახურების, შესაბამისად ამან განაპირობა ექიმთა ხელფასების მატება, რადგან ხელფასი გამომუშავებაზეა დამოკიდებული“,** — აღნიშნავს ექსპერტი, რომლის აზრით საყოველთაო დაზღვევის შემოღებამ განსაკუთრებით გაზარდა ავადმყოფთა ბრუნვა, უფრო მეტ პაციენტს მიეცა საშუალება, სახელმწიფოს დაფინანსების ხარჯზე მიეღო დახმარება.

**„მოლოდინი ძალიან დიდი იყო ექიმების მხრიდანაც, საყოველთაო დაზღვევაზე, მეც ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდი ამას და ახლა ვთვლი, რომ ეს იყო ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვაში რეცეპტების შემოღება და ეს ძალიან დადებითი ნაბიჯი იყო“,** — განაცხადა ბოკუჩავამ.

გასულ კვირას პრემიერის ანგარიში შეაფასა თითქმის ყველა გავლენიანმა ექსპერტმა, მათ შორის, ხელისუფლებისადმი კრიტიკულობით გამორჩეულმა ხათუნა ლაგაზიძემაც.

**„უმნიშვნელოვანესი იყო დასკვნითი ნაწილი, სადაც პრემიერმა ხაზი გაუსვა იმ მიღწევებს, რომლის რეალურად ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია. კერძოდ მან თქვა, რომ განსხვავებული პოლიტიკური აზრისთვის ეს ხელისუფლება არავის დასჯის, არავის დააშანტაჟებს, მათი ოჯახის წევრებს არ დააშინებს და ციხეში არ ჩასვამს, არ შეზღუდავს ბიზნესის თავისუფლებას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, არ შევარდება ტელევიზიებში და არასასურველი სიუჟეტების გამო ჟურნალისტებს არ დასჯის, არ შექმნის მართულ ოპოზიციას და ა.შ. ეს იმდენად მნიშვნელოვანი რამაა ქვეყნის განვითარებისთვის, რომ ამ ბაზისს და ძირითად მიღწევებს უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური წინსვლა. ამ ძირითადი თავისუფლებების გარეშე ნებისმიერი სოციალური და ეკონომიკური წარმატება დროებითია და ქიმერაა. თუ ხელისუფლება სიტყვასა და საქმეს არ დააშორებს ამ მიმართულებით, მე ვთვლი, რომ ეს მისი ყველაზე დიდი წარმატება იქნება. ზოგადად გამოსვლა ძალიან პოზიტიური ნოტებით იყო აწყობილი, მოდიოდა პოზიტიური ემოცია. იმ ფონზე, როდესაც ახალ ხელისუფლებას ზოგადად უჭირდა საზოგადოებისთვის პოზიტივის შეთავაზება და დღის წესრიგი ნაციონალების ნეგატივის წარმოჩენაზე ჰქონდა აგებული ეს ამ მხრივ გამორჩეული გამოსვლა იყო“,** — განაცხადა ლაგაზიძემ.



## გალში 52 წლის მამაკაცი ცემით მოკლეს

52 წლის მამაკაცი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაიტაცეს და ცემით მოკლეს. ემზარ ეთერია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, სოფელ თაგილონიდან 4 დღის წინ გაიტაცეს და ოჯახისგან 9 ათასი ლარის სახით, გამოსასყიდს ითხოვდნენ. თანხის გადახდის შემდეგ კი, ის სასტიკად ნაცემი, უგონო მდგომარეობაში სახლთან დატოვეს. ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. მას სასიკვდილო დაზიანებები თავის არეში ჰქონდა მიყენებული.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ნაციონალებს გია ბარამიძისა და მისი ცოლის საუბრის ფარული ჩანაწერი აქვთ?!

გიორგი იაშვილი

**ქართველი პოლიტიკოსები კულუარებში არცთუ იშვიათად ამბობენ, რომ ქართველ ამომრჩეველს მოკლე პოლიტიკური მეხსიერება აქვს და ხშირად საკმარისია ერთი წელიც კი, რომ მტრად შერაცხული პოლიტიკოსი პატრიოტად გამოაცხადოს, ქუჩაში გავიდეს და მისი სახელი ბოლო ხმაზე იყვიროს. რაც მთავარია, ქართველი პოლიტიკოსები ამას სათავისოდ ძალიან კარგად იყენებენ და შესაფერის მომენტს ელიან, რათა საზოგადოებას ისევ გმირებად მოევლინონ...**

ბოლო კვირის ყველაზე აქტუალური თემა მოსმენების ე.წ. გასაღების მფლობელის ვინაობის გარკვევა იყო. საკითხი დაისვა შემდეგნაირად: ვინ უნდა მოგვისმინოს?! და კაცი არ გამოჩნდა, გამოსულიყო და ეთქვა, რატომ უნდა მოგვისმინოს?! საზოგადოებაში არცთუ უსაფუძვლო ეჭვია იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი, ვისაც ეს გასაღები ექნება, მოგვისმენს არა კანონის ფარგლებში, არამედ იმის მიხედვით, როგორ ხასიათზე იქნება კონკრეტულად იმ დღეს. სწორედ ასე ხდებოდა ადრე და მოსმენების სულისჩამდგმელნი, რომლებიც დღეს პარლამენტში სხედან, ისეთი გაოცებული სახეებით განიხილავენ კანონპროექტს და ისე ამუნათებენ ოპონენტებს, თითქოს სულ რაღაც სამიოდე წლის წინ თავად არ უსმენდნენ და რაც მთავარია, უსმენდნენ მასას. სწორედ ამ მასობრივი მოსმენების შედეგია, რომ ყოფილი ხელისუფლების ხელში მოხვდა (და ადამიანების გარკვეულ ჯგუფს დღესაც აქვს) მათივე ლიდერების სატელეფონო საუბრები ოჯახის წევრებთან. კონკრეტული მაგალითი თუ გნებავთ, გივი თარგამაძის საუბარია ჩაწერილი საკუთარი ოჯახის წევრებთან, გია ბარამიძის საუბარი მეუღლესთან — დავაკონკრეტებთ, რომ ბატონი ბარამიძე მეუღლეს მაშინ ესაუბრება, როცა თავად ბათუმშია, მეუღლე კი თბილისში და ყველაზე კარგად სწორედ მან იცის, რა თემას ეხება საუბარი.

ამჟამინდელი ხელისუფლების წევრების საუბარი კი არა, მიმოწერაც ჰქონდა შენახული წინა მთავრობას და, როგორც ამბობენ, საჭირო დროს ყველაფერი ეს დღის სინათლეს იხილავს. საჭირო დროს კი, როგორც წესი, ნაციონალური მოძრაობა ელოდება და თან მშვიდად ტესტავს, არის თუ არა ხალხი ქუჩაში გამოსვლისთვის მზად. სწორედ ასეთი ტესტია 15 ნოემბრის აქცია და მართალია, მიხეილ სააკაშვილს გულმა ვერ მოუთმინა და გამოაცხადა, ეს ხელისუფლება არჩევნებით არ შეიცვლებაო, დიდი ყურადღება ამისთვის მოქმედ მთავრობას არ მიუქცევია. არადა, რბილად რომ ვთქვათ, ეს იყო პირდაპირი მოწოდება გადატრიალებისკენ და ამის უნარი ნაციონალურ მოძრაობას რომ აქვს, ჩვენზე კარგად ვინ იცის, მაგრამ ამ მოკლე პოლიტიკურ მეხსიერებას რომ ვერაფერს ვუხერხებთ?!

მოხერხებაზე გამახსენდა და, ძალზე მოხერხებულად ცდილობს საპარლამენტო ოპოზიცია წინა წლების მთელი სიმძიმე ამჟამინდელ ხელისუფლებას დააკისროს და ისევ ერთის უნარიანობისა თუ მეორის უუნარობის გამო, ეს არცთუ ცუდად გამოსდის. ქურდს ქუდი ეწვისო, ნათქვამია და ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ყველაზე უკეთ იციან, სად შეიძლება ეწვოდეთ ხელისუფლების წარმომადგენლებს და სწორედ ამიტომ, იქ აჭერენ ფეხს. პარალელურად, გამოუცდელობისა თუ, უბრალოდ, არცოდნის გამო, ხელისუფლების უმაღლეს პირებს ისეთი რამ წამოსცდებათ, მერე საქილიკო თემად რომ ხდება, თორემ იმის თქმა, რომ უცხო ქვეყნის კომპანიებს ე.წ. გასაღები არ უნდა ჰქონდეთ, არ არის მართებული. ჯერ ერთი, თუ უცხოურ კომპანიებს არ ენდობი, საერთოდ არ შემოუშვა და მეორეც, მტრად შერაცხულ აგრესორს ყველა სტრატეგიულ ობიექტს რომ ჩაუგდებ ხელში და ზედ წყალს, ელექტროენერგიას და გაზს მიაყოლებ, მერე არ უნდა იძახო, მოსმენის მეშინიაო. შე დალოცვილო, იმის თუ არ გეშინია, ერთ დღეს ქვეყანა წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს, იმის გეშინია, ვინმემ არ მოგისმინოს?! თან რატომღაც მგონია, მოსასმენიც არაფერია, რადგან ვიღაცას (გამოუცდელობისა თუ არცოდნის გამო) ტელევიზიით ისეთი რამ წამოსცდება ხოლმე, მრავლისმნახველი თუ მრავლოსგამგონე ერი შოკში ვარდება, ამიტომ არ იქნება ცუდი, ეს ე.წ. გასაღები საერთოდ გავაუქმოთ და კონკრეტულ შემთხვევებზე (წელიწადში 5-6 იქნება ასეთი) უზენაესი სასამართლოს მოსამართლის სანქციით მოვუსმინოთ ვინმეს. სხვა შემთხვევაში კი, ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ისევ მასობრივად არ გვისმენენ და ვის ხელშიც უნდა იყოს ე.წ. გასაღები, ამის შეგრძნება მაინც იქნება. მარადიული ამქვეყნად არაფერია და მერე, როცა ვინმე და რამე შეიცვლება, ისევ იქნება შეგრძნება, რომ ჩვენი საუბრის ჩანაწერები ვიღაცას სადღაც უდევს და კონკრეტულ მომენტს ელის... ეს მოკლე პოლიტიკური მეხსიერებაც რომ ხელს გვიშლის, ყველა ვხვდებით, მაგრამ მერე, რა?!

**P.S. (ანუ პოსლე სკაზანნოე): ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ფარული ჩანაწერი მომასმენინა ერთხელ მისმა მეგობარმა და კოლეგამ. საინტერესო ის იყო, რომ ის მაღალჩინოსანი სწორედ ამ კაცს შნირს ეძახდა და აგინებდა. გამიკვირდა, რად გინდა-მეთქი და სულ ხელისუფლებაში არ იქნება ეგ კაცი, ჩემი დროც მოვა და ამ ჩანაწერს თავში ვურტყამო. საიდან გაქვს-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა, რომ დამირეკა, მაშინ ჩავიწერეო. ასე რომ, ერთმანეთსაც უფრთხილდით, ბატონებო, ეს ორი ადამიანი დღემდე საუკეთესო მეგობრად ითვლება.**

## სასაზღვრო პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქრო ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს შემოტანის ფაქტზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული ედუარდ ე. დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ედუარდ ე-ს პირადი ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქრო ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 999,9 სინჯის ოქრო, რომელიც 1 კილოს და 297 გრამს იწონის და მისი საბაზრო ღირებულება 93 427 ლარია.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქემ ოქროს ზოდები სომხეთის რესპუბლიკიდან, საბაჟო კონტროლის გვერდისავლით, საქართველოში შემდგომი რეალიზაციის მიზნით შემოიტანა.

გამოძიება საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით). გამოძიებას აწარმოებს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო.

*„ვერსიანიუსი“*

## პოლიციამ დუშეთში მომხდარი ყაჩაღობა გახსნა

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევი ანზორ შ, 1991 წელს დაბადებული ლაშა ნ. და 1987 წელს დაბადებული ლუკა ო. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 17 ოქტომბერს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და დანებით შეიარაღებული 4 ნიღბიანი პირი ყაჩაღურად თავს დაესხა დუშეთის რაიონის სოფელ ხარხეთში მცხოვრებ გვიანიშვილების ოჯახს. თავდამსხმელებმა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით გვიანიშვილების ოჯახიდან 2 400 ლარი და 500 ამერიკული დოლარი წაიღეს. ოთხივე ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ანზორ შ. მცხეთაში, ხოლო ლაშა ნ. და ლუკა ო. დუშეთის რაიონის სოფელ ნადიბაანში დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 ნიღაბი და 3 წყვილი ხელთათმანი. მეოთხე თანამზრახველის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებები მიმდინარეობს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით).

*„ვერსიანიუსი“*

# რატომ ითიშება დენი — „თელასის“ გენერალური დირექტორი ორწლიან დუმილს არღვევს

## რას ითხოვს სერგეი კობცევი და ვის საკუთრებაშია თბილისის სატრანსფორმატორო ჯიხურების 46%

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, რასაც „ვერსიამ“ თავის დროზე ვრცელი ჟურნალისტური გამოძიება მიუძღვნა და, რასაც რამდენიმე მაღალჩინოსნის, მათ შორის, ენერგეტიკის ექსმინისტრის ალეკო ხეთაგურის, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილის, კახა დამენიასა და „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას პროკურატურაში დაკითხვა მოჰყვა, „თელასს“ უკავშირდება. ყოფილი მაღალჩინოსნების პროკურატურაში დაკითხვას „თელასის“ მენეჯმენტის, მათ შორის კომპანიის გენერალური დირექტორის დაპატიმრება მოჰყვა. შესაბამისად, „ინტერ რაომ“, რომლის შემადგენლობაში სს „თელასი“ 2003 წლიდან შედის, კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტზე სერგეი კობცევის კანდიდატურა წარადგინა, თუმცა მას ქართული მედიისთვის ინტერვიუ დღემდე არ მიუცია. სს „თელასის“ გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი ორწლიან დუმილს „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში არღვევს. მაშ, ასე: როგორ მოემზადა „თელასი“ ზამთრისთვის და კონკრეტულად ვისი ან რისი ბრალია, რომ თბილისის ცენტრალურ უბნებში დენი ისე თამაშობს, როგორც შავ-ბნელ 90-იანებში?**

**— ბატონო სერგეი, „თელასი“ ზამთრისთვის როგორ ემზადება?**

— სს „თელასმა“ 2014-2015 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაასრულა და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობისთვის მზადაა. საერთოდ, შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მზადებას ყოველწლიურად გაზაფხულზე ვიწყებთ — კომპანიაში იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. „თელასმა“ წელსაც, გეგმის მიხედვით, სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაატარა 110/35 და 10(6)-კილოვოლტიანი ქვესადგურების გამანაწილებელ მოწყობილობებზე, მოდერნიზაციის სამუშაოები — სატრანსფორმატორო ქვესადგურების ელექტროტექნიკურ ნაწილზე; სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა 110 და 35 — კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზებს, შეიცვალა 35/10/6-კილოვოლტიანი ძაბვის მოძველებული საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზები და ა.შ. კომპანია „თელასი“ და მისი ტექნიკური პერსონალი, ყველა აუცილებელი აღჭურვილობითა და მასალითაა უზრუნველყოფილი, რათა ნებისმიერი ტექნიკური ინციდენტი აღმოფხვრას, ან მინიმუმამდე შეამციროს.

**— რამდენიმე თვეა, ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც თბილისის ცალკეულ უბნებში ელექტროენერგია ითიშება. კონკრეტულად, რა ტიპის სამუშაოები განახორციელეთ, როდის დაასრულებთ და ამ სამუშაოებზე რა თანხა დახარჯეთ?**

— დიახ, კომპანია „თელასი“ ქსელის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზების პროექტებს ახორციელებს. ამ კუთხით, მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ორი პროექტი — ქვესადგურ „დიდუბე 220“-ში 6/10-კილოვოლტიანი სექციის რეკონსტრუქცია-მოდერნიზებისა და 35/6-კილოვოლტიან, „საბურთალო 1“-ის ქვესადგურში ახალი, ძალოვანი ტრანსფორმატორის მონტაჟის პროექტები. ამ პროექტების განხორციელებით, დედაქალაქის 40 000-მდე აბონენტის ენერგომომარაგება გაუმჯობესდა.

ქვესადგურ „დიდუბე 220“-ში 6-კილოვოლტიან დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობებზე მოძველებული ზეთოვანი ამომრთველები თანამედროვე ვაკუუმური ამომრთველებით შეიცვალა; განახლდა საკაბელო მეურნეობა და ყველა სამშენებლო სამუშაო დასრულდა.

ქვესადგურ „საბურთალო 1“-ში მოძველებული, 25-მეგავოლტამპერიანი ძალოვანი ტრანსფორმატორი ახალი, უფრო მძლავრი 32-მეგავოლტამპერიანი თანამედროვე სტანდარტების ტრანსფორმატორით შეიცვალა, რომელიც მუშაობის ხანგრძლიობით, საიმედოობითა და გადატვირთვების მიმართ მდგრადობით გამოირჩევა. ბოლო 10 წლის განმავლობაში, კომპანია „თელასმა“ პირველად დაამონტაჟა ასეთი სიმძლავრის ტრანსფორმატორი, რაც დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური და სწრაფად მზარდი რაიონის ელექტროქსელის გაფართოებისა და განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 110 კვ-იან ტრანსფორმატორს ქვესადგურ „საბურთლო 2“-სა და 35 კვ-იან ტრანსფორმატორს ქვესადგურ „აეროპორტში“ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. დასრულდა ცენტრალური გამანანილებელი მოწყობილობის სრული რეკონსტრუქციისა და მოდერნიზების სამუშაოებიც.

ამ სამუშაოების ჩატარების დროს, იძულებულნი ვიყავით, დროებით შეგვეზღუდა ელექტროენერგიის მიწოდება აბონენტების გარკვეული რაოდენობისთვის, რაც მომხმარებლის დისკომფორტსა და უკმაყოფილებას იწვევდა, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობის სპეციფიკა ასეთია — სამუშაოებს ელექტროენერგიის შეზღუდვის გარეშე ვერ ჩავატარებთ. ამის გამო კომპანია მომხმარებელს ბოდიშს უხდის. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამ სამუშაოების ერთადერთი მიზანი თბილისის ელექტრომომარაგების საიმედოობისა და ეფექტიანობის ამაღლება, ასევე, ქალაქის ქსელის შემდგომი განვითარებისთვის სიმძლავრეების გაზრდაა. ამჟამად, სს „თელასმა“ შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი პროექტების განხორციელება უკვე დაასრულა და დედაქალაქის ელექტროქსელი მუშაობისთვის მზადაა.

რაც შეეხება ხარჯებს, 2014 წელს, თბილისის ელექტროქსელის რეკონსტრუქცია-მოდერნიზებასა და გაფართოებაზე დახარჯული ინვესტიციების საერთო მოცულობა 27 000 000 ლარს აღემატება.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

ვერსიანიუსი

## შსს-ს მომსახურების სააგენტოს 400-მდე თანამშრომელმა ე.წ. მომსახურების ხარისხის ტრენინგი გაიარა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი მომსახურების ხარისხის სტანდარტის, სტრესისა და კონფლიქტის მართვის საკითხებზე დასრულდა. ტრენინგზე, რომელიც შსს-ს აკადემიაში სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მომსახურების სააგენტოს 400-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

ტრენინგი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა: ეფექტიანი მომსახურება, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, პროფესიული სტრესი, კონფლიქტები და მათი მართვის სტრატეგია. სწავლებაზე მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა სხვადასხვა როლური თამაშები და ლოგიკური დავალებები შეასრულეს, რომელთა დახმარებით ისინი მომავალში უფრო ეფექტურად შეძლებენ მოქალაქეებთან ურთიერთობასა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მარტივი, სწრაფი, სანდო და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული სისტემის უზრუნველსაყოფად მუდმივად ხდება თანამშრომლების სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადება. შსს-ს მომსახურების სააგენტო, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მსგავსი ტრენინგების ჩატარებას მომავალშიც გეგმავს.

*„ვერსიანიუსი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# რატომ ჭიანურდება „ავტოგაზის“ ყოფილი მფლობელების საქმის გამოძიება?

## რას აპირებს დაზარალებულების ადვოკატი?

**სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის“ ყოფილი აქციონერების განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა, თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ბეჟუაშვილმა კომპანიის აქციების 100% უკანონოდ ჩაიგდო ხელში. „ავტოგაზის“ წართმევის პროცესში მაშინდელი მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კეზერაშვილი, კახეთის ყოფილი გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი და საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძმა, დავით სააკაშვილი მონაწილეობდნენ. კომპანიის წინააღმდეგ ბრძოლა 2006-2007 წლებში, აქციონერების დაპატიმრებითა და მათთვის აბსურდული ბრალდებების წაყენებით დაიწყო. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ავტოგაზის“ ყოფილმა აქციონერებმა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს მიმართეს. წელიწადნახევარია, ეს უწყება საქმეს იძიებს, მაგრამ რეალური შედეგი ჯერ არ ჩანს. „ვერსია“ ს/ს „ავტოგაზის“ ყოფილი აქციონერების ადვოკატს, მამუკა მდინარაძეს დაუკავშირდა.**

**— ბატონო მამუკა, სამართლებრივად როგორ კვალიფიცირდება „ავტოგაზის“ მფლობელების საქმე?**

— „ავტოგაზის“ ყოფილ მფლობელებს სამართლებრივი სტატუსი არ აქვთ, რადგან დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ, ისინი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მოწმის სტატუსით დაკითხეს. სამწუხაროდ, რეალური შედეგი ჯერ არ ჩანს, მაგრამ ფაქტი ერთია, კონკრეტულმა ადამიანებმა, კონკრეტული დანაშაული ჩაიდინეს. სინამდვილეში, გამოსაძიებელიც ბევრი არაფერია, რადგან ამ დანაშაულის შესახებ მტკიცებულებები უკვე არსებობს. როგორც იცით, „ავტოგაზის“ მფლობელები დაიჭირეს და შემდეგ, საპროცესო გარიგების შედეგად გაათავისუფლეს. კომპანიის მფლობელების განცხადებით, 50%-იანი წილი დავით ბეჟუაშვილის სასარგებლოდ დათმეს, თუმცა თანხა, რომელიც 50%-იან წილში გადაიხადეს, საპროცესო გარიგებისთვის მოთხოვნილი თანხის ოდენობას დაემთხვა. ამ შემთხვევაში, ეს იყო დანაშაულებრივი გზით დადებული გარიგება, რადგან „ავტოგაზის“ მფლობელები აიძულეს, კომპანიაში წილი დაეთმოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიის გენერალურ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ციხეში, აბსურდული ბრალდებებით დარჩენა მოუწევდათ. გარდა ამისა, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები დაემუქრნენ, რომ თუ ისინი კომპანიაში წილს არ დათმობდნენ, სხვა პრობლემებსაც შეუქმნიდნენ. ამის დამადასტურებელი, კონკრეტული მტკიცებულებები უკვე წარდგენილი გვაქვს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. მეტიც, „ავტოგაზის“ ყოფილ მფლობელებს ეუბნებიან, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც თავის დროზე კომპანია წაართვეს, „ქართული ოცნების“ მაღალი თანამდებობის პირებთან დაალაგეს ურთიერთობა და კომპანიის ყოფილი მფლობელები ვერაფერს გახდებიან.

**— უკაცრავად, ამას ვინ ამბობს, დავით ბეჟუაშვილი?**

— არ მინდა, ჭორაობაში ჩამეთვალოს, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა და თბილისიც პატარა ქალაქია. შესაბამისად, კონკრეტული საფუძვლის გარეშე, ასეთი მითქმა-მოთქმა არ არსებობს. უბრალოდ, ბევრმა ადამიანმა ჩააწვეთა ყურში „ავტოგაზის“ ყოფილ მფლობელებს, რომ მათ, ვინც ქონება წაართვეს, ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მოგვარებული აქვთ ყველაფერი. მართალია, მე, როგორც იურისტს, ასეთი ყურმოკრული ამბის დაჯერების უფლება არ მაქვს, მაგრამ როდესაც გამოძიების დაწყებიდან წელიწადნახევარზე მეტი გავიდა და შედეგი არ ჩანს, ბუნებრივია, საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება. ახლა უკვე გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს, თუ ეს მითქმა-მოთქმა ტყუილია, მაშინ საქმის ძიება ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს. კონკრეტული მტკიცებულებები არსებობს, ახლა საჭიროა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ეს მტკიცებულებები შეისწავლოს და შესაბამის პირებს ბრალი წაუყენოს. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ ვიღაც მკაცრად დაისაჯოს, მაგრამ გვინდა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, ანუ თუ კონკრეტულმა პირმა დანაშაული ჩაიდინა, სამართლებრივად დამნაშავედ, ხოლო „ავტოგაზის“ მფლობელები — დაზარალებულებად სცნონ. რაც მთავარია, ეს ყველაფერი შესაბამის განაჩენში უნდა აისახოს, რაც სამართლიანობის აღდგენის საფუძველი იქნება.

**— თქვენ, როგორც ადვოკატი, ამ საქმესთან დაკავშირებით, რა ნაბიჯებს დგამთ და რას აპირებთ მომავალში?**

— ჩვენ საკმაოდ უუფლებოები ვართ, რადგან არც დაზარალებულს და არც მის ადვოკატს, განსაკუთრებით დიდი უფლებები არ აქვთ. მით უმეტეს, მოწმის ადვოკატს არავითარი უფლება არ აქვს იმის გარდა, რომ დაეჭვების შემთხვევაში, განცხადებით მიმართოს საგამოძიებო ორგანოს. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, ეს ბრძოლა არასამთავრობო ფორმატში გადაგვეტანა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა ალიანსს“ ვხელმძღვანელობ და რადგან ამ კონკრეტულ საქმეში, როგორც ადვოკატი, უუფლებო ვარ, ალიანსის წევრებს ვთხოვე, ამ საქმის მონიტორინგი განახორციელონ.

**— თუ საჭირო იქნება, „ავტოგაზის“ ყოფილი მფლობელების საქმეს სტრასბურგის სასამართლოშიც გაასაჩივრებთ?**

— სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრებას, კანონით გათვალისწინებული ერთი აუცილებელი რამ სჭირდება — ყველა სახელმწიფოებრივი რესურსი უნდა ამოიწუროს. კონკრეტულად ამ საქმეზე, შიდა სახელმწიფოებრივი რესურსი არ ამოწურულა, შედეგი არ ჩანს, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაწყვეტილების მიღებაზე უარი არ უთქვამს. ჯერ უარი უნდა მიიღოთ, რომ შემდეგ სხვა ინსტანციაში გაასაჩივროთ საქმე და როდესაც სახელმწიფოში ყველა ინსტანციას გავივლით, მხოლოდ ამის შემდეგ გავასაჩივრებთ სტრასბურგში. თუ საქართველოში შედეგს ვერ მივაღწევთ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო დონეზეც ვცდით, მაგრამ ჯერ ამის მოცემულობა არ გვაქვს.

ექსკლუზივი

# რატომ ითიშება დენი — „თელასის“ გენერალური დირექტორი ორწლიან დუმილს არღვევს

*მე-6 გვერდიდან*

**— ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ იმასაც, რომ თბილისის ცენტრალურ უბნებს, დღის განმავლობაში, დენი რამდენჯერმე ეთიშებათ, სარემონტო სამუშაოებით ხსნით?**

— გეთანხმებით, მიღწევებზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ პრობლემებსაც, რომლებიც კომპანიას მუშაობაში ხელს უშლის. კერძოდ, ეს იმ სხვადასხვა ორგანიზაციის კუთვნილი ელექტროქსელია, რომლის საქმიანობის პროფილიც ქსელის რემონტს, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზებას არ ითვალისწინებს. აღნიშნული ქსელი ხშირად გამოდის მწყობრიდან, რაც მომხმარებელთა სრულიად სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ხშირია შემთხვევა, როდესაც აბონენტი ავარიის აღმოფხვრას ითხოვს, მაგრამ სს „თელასის“ ტექნიკური სამსახური სამუშაოებს ვერ ასრულებს, ვინაიდან ტრანსფორმატორი თუ კაბელი კომპანიის საკუთრება არ არის. გარდა ამისა, არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები, რაც, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, უბრალოდ, საშიშია. ამჟამად, თბილისში არსებული სატრანსფორმატორო ჯიხურების დაახლოებით 46%, „თელასს“ არ ეკუთვნის. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ამ ორგანიზაციებს აღნიშნული აქტივების სს „თელასის“ საკუთრებაში გადაცემის თხოვნით მივმართო, რათა ქსელის კვალიფიციური მომსახურების უზრუნველყოფა შევძლოთ!

**— ბატონო სერგეი, ძაბვის ცვალებადობის გამო, ელექტროტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტები ინტერესდებიან, თუ როგორაა დაცული მომხმარებელთა უფლებები. რა პროცედურა არსებობს დაზიანების მიზეზის დასადგენად და ზარალის ასანაზღაურებლად?**

— აბონენტთა მხრიდან სს „თელასში“ შემოსულ ტექნიკურ პრეტენზიებს სპეციალური კომისია იხილავს. პრეტენზიის განხილვის საფუძველი კომპანიაში წარდგენილი შესაბამისი ფორმის განცხადებაა, რომელსაც უნდა ერთვოდეს დოკუმენტაცია, რომელიც დაზიანებული ქონების საკუთრებას ადასტურებს და, ასევე, შესაბამისი საექსპერტო-აუდიტორული დაწესებულების დასკვნა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს რემონტის ან ქონების შეცვლის ღირებულება. კომისია სწავლობს წარდგენილ მასალებს და იმ შემთხვევაში, თუ ზიანის მიყენებაში ბრალი „თელასს“ მიუძღვის, ზარალის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებას 10 დღის განმავლობაში იღებს.

**— მომხმარებლისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი კვლავ ელექტროენერგიის ტარიფია, რომელიც 2013 წელს ელექტროენერგიის განაწილების მარჟის შემცირების ხარჯზე გაიაფდა. როგორი იქნება ტარიფი მომდევნო წლებში?**

— როგორც ცნობილია, ტარიფის ოდენობას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს. ტარიფები ისე რეგულირდება, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაცვის პირობებში, ქალაქი უწყვეტი და ხარისხიანი ელექტრომომარაგებით იყოს უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, კომპანიის მუშაობა მიმართული იქნება გამანაწილებელი ქსელის სრულყოფასა და განვითარებაზე, მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და საიმედო ენერგომომარაგების უზრუნველყოფაზე. ელექტრული ქსელის რეკონსტრუქციის, მოდერნიზებისა და გაფართოების პროგრამების განხორციელებაზე, სს „თელასი“ ყოველწლიურად 25 000 000-დან 30 000 000 ლარამდე ხარჯავს. 2003 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, კომპანიის განვითარებაში დაბანდებული ინვესტიციების საერთო მოცულობა, დაახლოებით, 300 000 000 ლარია შეადგენს.

**— არცთუ დიდი ხანია, „თელასის“ სათავო ოფისში ელექტრონული სისტემა დამონტაჟდა, რომლითაც გრძელი რიგის მართვაა შესაძლებელი. აბონენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კიდევ რა ნაბიჯებს დგამთ?**

— „თელასის“ ძირითადი ამოცანა მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა, ასევე, კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების გაწევაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „თელასის“ მენეჯმენტისა და თითოეული თანამშრომლის ყოველდღიური ძალისხმევა. აბონენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სს „თელასი“ აგრძელებს შარშან დაწყებულ საქმიანობას, რაც დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში თანამედროვე სტანდარტების ბიზნესცენტრების გახსნას უკავშირდება. მიმდინარე წელს ორი განახლებული ბიზნესცენტრი გავხსენით — „მთაწმინდა-კრწანისი“ და „ვერა-ვაკე“, წლის ბოლომდე კიდევ ორი გაიხსნება — „სამგორი“ და დაბა ტაბახმელაში ბიზნესცენტრ „მთაწმინდა-კრწანისის“ ფილიალი. დედაქალაქში 10 ბიზნესცენტრი მოქმედებს.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი ბიზნესცენტრების გახსნის მიზანი მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოს შექმნაა, როგორც ოფისების დიზაინის, ასევე, მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ბიზნესცენტრში აბონენტებს შეუძლიათ, მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია ელექტრომომარაგებასა და ელექტროენერგიის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, ოპერატიულად მოაგვარონ ნებისმიერი სახის ტექნიკური პრობლემა.

# ბანკომატების გაძარცვის სკანდალური სქემა

## ვინ არის შოვენა და რაფომ მისცა მერაბიშვილის შსს-ს 6 მილიონი

პატიმარი №0578

**კაზინოსა და ბანკების ძარცვა ფილმებშია იოლი, რეალურად კი, თანამედროვე სიგნალიზაციით აღჭურვილ დაწესებულებებში შეღწევა თითქმის შეუძლებელია. ერთადერთ გამოსავლად კრიმინალებისთვის თავხედური თავდასხმა რჩება, რომელსაც ბევრი ვერ რისკავს. ვინც რისკავს, სიკვდილს ეთამაშება, თუმცა ცდუნება მინიმუმ შვიდნიშნა ციფრებშია ასახული და ამიტომ, არცთუ იშვიათად, კრიმინალები ამ „თავხედობაზე“ მიდიან... 2000-იანი წლების დასაწყისში, იმ ადგილზე, სადაც ახლა კაზინო „არბატია“, სწორედ ასეთი თავდასხმა მოხდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ბანკის ბრონირებულ ავტომობილს, რომელსაც 18 მილიონი დოლარი გადაჰქონდა და სპეცრაზმელთა გაძლიერებული შემადგენლობა აცილებდა, ვინმე სროლას აუტეხავდა... თავდამსხმელთა რიცხვი ოცს აჭარბებდა, სპეცრაზმელებმა რვა ადგილზე მოკლეს, სამი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ თავდამსხმელებმა ფულის წაღება მაინც მოახერხეს. დამნაშავეები დღემდე ვერ დაიჭირეს, თუმცა მაშინვე ითქვა, რომ კვალი კავკასიისკენ მიდიოდა და ეს ვერსია საფუძველსმოკლებული არ იყო — გარდაცვლილ კრიმინალთაგან სამი ჩეჩენი, ერთი რუსი და ოთხიც ქართველი იყო...**

რუსთავის №17 დაწესებულებაში პატიმრების ახალ ნაკადს ელოდნენ, თუმცა სანამ ზონა არ დაიკეტა, საკარანტინო ნაწილიდან ერთიც არ ამოუშვიათ. ზონის დაკეტვის შემდეგ პატიმრები ფანჯრებიდან აკვირდებოდნენ ოცამდე ახალ პატიმარს, რომლებიც კამერებში გადაანაწილეს. ახალი პატიმრებიდან ერთი აშკარად გამოირჩეოდა — ნავარჯიშები სხეული ჰქონდა, თუმცა ყველაზე უკან მოდიოდა და ფეხებს ძლივს ადგამდა.

„ვაა, ნახეთ, ბიჭებო, ეს ხო შოვენაა, მართალი ყოფილა, დაიჭირესო რომ თქვეს. აუ, რა ნაწვალებია, ლომივით ბიჭი იყო“, — თქვა მეგრელმა წიემ და პატიმრები მაშინვე „რეშკას“ მისცვივდნენ. ფანჯარაში გაიხედა პატიმარმა №0578-მა, მაგრამ ბინდში ვერაფერი გაარჩია, მერე წიეს მიუბრუნდა და ჰკითხა: „შოვენა რას ნიშნავს?“

„სახელია, ნამდვილი სახელი. შენ თუ შოვენ შ-ს არ იცნობ, მაშინ არავის იცნობ, რა. არ გაგიგია, ეგ ის შოვენაა, თხუნელები რომ ჰყავდა და ჯერ ევროპა მოიარა, მერე რუსეთი და საქართველოში ჩავარდა“, — უთხრა წიემ.

„თხუნელები რად უნდოდა?“, — გაიოცა №0578-მა.

„ეეე, არიფი ხარ, რა. რა რად უნდოდა?! თხრიდა, თხრიდა. აი, ხვალ ნახე, დილით მაყურებლების კამერაში ჩადი და იქ დაგხვდება ეგეც. პატივსაცემი და ჭკუასაკითხავი კაცია და თუ ხმას ამოაღებინებ, ეგებ მოგიყვეს კიდეც რამეს. აგერ, 3000 ათას კაცზე მეტი ვზივართ აქ და დამიჯერე, მაგაზე დიდი პრისტუპნიკი არავინაა“, — უპასუხა წიემ.

მეორე დილით პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში ჩავიდა და იქაურებს მიესალმა. შოვენა ნარზე იჯდა, ახლადმოსულს მშვიდად შეხედა, მერე მაყურებელს გახედა და როცა იმან უთხრა, ჩვენი ძმააო, ისევ მშვიდად ჩაღუნა თავი და ჩაი მოწრუპა. დაახლოებით, ორი საათი გაჩერდა მაყურებლებთან №0578, ორი საათი პირი არ გაუჩერებიათ მაყურებლებს და შოვენას ათას რამეს ეკითხებოდნენ, ის კი ან ჰო-ს ამბობდა, ან არა-ს და, როცა გრძელი პასუხი იყო საჭირო, არ ვიციო, მშვიდად პასუხობდა. ორი თვე აკვირდებოდა პატიმარი №0578 შოვენას და ამ ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთ პატიმარს, ქუთაისელ რეზოს ელაპარაკებოდა და მასაც იმდენად ჩუმად, რომ, როცა გვერდზე ჩაუვლიდი, ვერაფერს გაიგებდი. რეზო ბინის ქურდობაზე იჯდა და პატიმრები ამბობდნენ, არ არსებობს კარი, რომელსაც ეგ ვერ გახსნისო...

ერთ დღეს, პატიმრებმა საკანში ბრაგა გააკეთეს, შემდეგ არაყი გამოხადეს და სმას შეუდგნენ. საიდანღაც რეზოც შემოძვრა და ჯერ ერთი ჭიქა დალია, მერე მეორე, მესამე და, რბილად რომ ვთქვათ, გატიალდა. რეზოს ხელკავი №0578-მა გაუყარა, გვერდით მოისვა და ჯერ სისულელეებზე ესაუბრა, მერე კი შოვენაზე ჰკითხა, რას გერჩის, მარტო შენ გესაუბრებაო.

„ეეე, შენ არ იცი, ეგ ვინ არის. მოსკოვში, არბატზე რომ მაყუთი წაიღეს, ხომ გაგიგია?! მაგის დაგეგმილი იყო. ახლა რამდენიმე ბაითი აქვს შეგულებული, გუდიაშვილის ნახატები დევსო და იმის წაღება უნდა. ბინა ვინ უნდა გახსნას?! რა თქმა უნდა — მე და ამიტომ მებაზრება. ეგ რომ გავა, ორ თვეში მეც მივყვები და გავაკეთებთ მაგ საქმეს“, — ჩააბულბულა რეზომ.

მეორე დღეს, ზონის გაღებისთანავე, პატიმარ №0578-ის საკნის კარი გაიღო და შოვენქ გამოჩნდა. ხმადაბლა თქვა, დაგვტოვეთო და №0578-ს მიუჯდა.

„აქ კედლებსაც ყურები აქვთ. რას გებაზრა რეზო გუშინ?!“ — პირდაპირ დასვა კითხვა შოვენამ.

„იცი შენ, რასაც მებაზრა, ისიც იცი, რომ მაგის ნდობა აღარ შეიძლება და ისიც, რომ იმ გუდიაშვილის ნახატებიდან თუ რომელიმე დაიკარგა, შენ მოგადგებიან. აქაური კედლების ყურები გარესამყაროსთანაა მიერთებული და ეს შენც იცი“, — უპასუხა პატიმარმა.

„ახლა ის მითხარი, შენ რატომ დაგაინტერესა ჩემმა ამბავმა?! რეზოს ნდობა რომ აღარ შეიძლება, უკვე მეც ვიცი, არადა, მაყურებლებმა, მაგარი კაციაო. შენ გისმენ ახლა“, — ხმაში სუსხი გაურია შოვენამ.

„არაფერი განსაკუთრებული. მე ზოგადად ისტორიებს ვაგროვებ, ჩათვალე, ცნობისმოყვარე ვარ. მაყურებლებს არა, გარეთ კითხე მართლა სერიოზულ პრისტუპნიკებს და გეტყვიან, ვინც ვარ. აი, მერე ვილაპარაკოთ“, — უთხრა №0578-მა და შოვენა საკნიდან გავიდა.

ერთი კვირის შემდეგ, შოვენა ისევ ეწვია №0578-ს, ღიმილით ჩამოჯდა ნარზე და თავის ქნევით თქვა: „თურმე... შეხვედრილები ვართ მე და შენ თავისუფლებაზე, არ გახსოვს ოღონდ და არც შეიძლება გახსოვდეს. არც მე მახსოვდა, ჩვენმა მეგობრებმა მითხრეს, იცნობო და მერე გაგიხსენე. რესტორანში ხუთი კაცი რომ დაიჭრა, მაშინ დაჭრილები ჩემი მანქანით წაიყვანე შენ და მერე გასაღები სტაიანშჩიკივით მომიგდე“.

„მახსოვს, მაგრამ შენ თუ იყავი, ეგ აღარ ვიცოდი. ჰოდა, ვაჟკაცურად, ორი კითხვა მაქვს სულ და მიპასუხე, რა“, — გაუღიმა №0578-მა.

„ვიცი, რაც უნდა მკითხო. მოსკოვის საქმე დაგუგლე, გარეთ რომ გახვალ და თავადაც ნახავ. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, დაიგეგმა, გაითვალა, შესრულდა. ვიცოდით, მსხვერპლი იქნებოდა და ეს ყველამ იცოდა, უბრალოდ, არავინ იცოდა, ვინ მოკვდებოდა და ამ მსხვერპლზე ყველა თანახმა იყო, კაცს სიკვდილზე ძალით ვერ წაიყვან. ყველამ იცოდა ისიც, რომ წილს ოჯახი მაინც მიიღებდა და მიიღო კიდეც“, — თქვა შოვენამ და ცრემლი მოერია.

„რომ მოგიყვანეს, თხუნელები ჰყავდაო, ასე თქვეს და ვიცი, სწორედ მაგაზე ხარ დაჭერილი“, — უთხრა №0578-მა.

„მივქარე. რუსეთსა და ევროპაში სხვანაირად კეთდება საქმე, აქ სხვანაირად. თხუნელებს ჩემს მიწისმთხრელებს ეძახდნენ. მაღაროში ნამუშევარი ოთხი კაცი შევარჩიე, ბანკომატებამდე მისასლელ გვირაბს თხრიდნენ და მიგვქონდა. სულელურად ჩავვარდი. კაცი მყავდა, რომელსაც ვავალებდი, ეთვალთვალა, როდის შეავსებდნენ ბანკომატს, რომ იმ ღამეს წამეღო. იმ იდიოტს, თურმე, უფიქრია, მანქანაში დავიძინებო, ვიდეოკამერა დადო მანქანის ტორპედოზე, მიუშვირა ბანკომატს და თვითონ დაიძინა. პატრულს შეუნიშნავს, რომ კაცს გზის იქეთ მანქანაში სძინავს, ტორპედოზე კამერა უდევს და ეს კამერა ბანკომატისკენ არის მიშვერილი. გაჰყვნენ და მოვიდნენ ჩემამდე. სწორედ იმ ბანკომატზე დაიჭირეს ჩემი თხუნელები და მოაღეს იმათმაც პირი, სახლში დამადგნენ. საპროცესო გავაფორმეთ და ოფიციალურად ასი ათასი წაიღეს, არაოფიციალურად — ექვსი მილიონი. ვიფიქრე, ცოტას დავიცდი და წავალ საქართველოდან-მეთქი. ძმაკაცებმა მოსკოვიდან ჯიპი გამომიგზავნეს, სულ ახალი იყო და როგორც კი ამ ჯიპით გავიარე ქალაქი, ისევ დამიჭირეს, შენ ფული კიდევ გქონიაო და კიდევ ექვსი მილიონი მთხოვეს. არ მქონდა და კი მომცეს აგერ, ოთხი წელი, მანამდე კი ის ჩემი ახალი ჯიპი მუხლებზე გადამატარეს და დამეფშვნა ორივე ფეხის ძვლები. არ ვიცი, ოდესმე თუ გავივლი ნორმალურად, არადა, გაგებული გექნება, ოცი მეტრის მანძილი მყოფნიდა, რომ გამოვქცეულიყავი და ჯიპს სახურავზე ვახტებოდი ისე, რომ არ ვეხებოდი. ახლა კიბეებზე ასვლა მიჭირს“, — თქვა შოვენამ და მუხლებზე ხელისგული გადაისვა.

***

**შოვენა ციხიდან, მილიონის გადახდის შემდეგ, წინა ხელისუფლებამ გაუშვა. ამჟამად ევროპაში ცხოვრობს და, როგორც ამბობენ, აქაური თხუნელები იქ წაიყვანა და ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი. ცნობისათვის: მისი ჯიპი დღემდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე ირიცხება და დაინტერესების შემთხვევაში, იმის თქმაც შეგვიძლია, ვინ დადის ამჟამად აღნიშნული მანქანით.**

უცხოელები საქართველოში

# იაპონელმა ქართველოლოგმა ტოკიოს უნივერსიტეტში ქართული ენის კურსები გახსნა

## 43 წლის ჰიროტაკე მაედას ქართული თავგადასავალი

ნათია ნოდია

**საყვარელი ადგილი — მცხეთის ჯვარი; პოეტი — ვაჟა და გალაკტიონი: საყვარელი კუთხე — თუშეთი; ჰობი — ბუნება და მოგზაურობა... გგონიათ, ქართველ ესთეტზე გელაპარაკებით? ცდებით, რადგან ტოკიოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, 43 წლის ისტორიკოსი და ქართველოლოგი ჰიროტაკე მაედა უნდა გაგაცნოთ, რომელიც საქართველოს წელიწადში ორჯერ სტუმრობს. თბილისში უკვე მეოცედ ჩამოვიდა... ჰიროტაკე ჩქარობს, მეგობრულად ვსაყვედურობ, მეტი დრო უნდა გამომიყოთ-მეთქი... არ მპასუხობს... ვატყობ, შეცბა — თვალები აუწყლიანდა. იაპონური ტრადიცია მახსენდება: თუ მევალე ვალს არ უბრუნებს, იაპონელი მისი სახლის წინ, ეზოში, მუცელს იფატრავს და ამით მევალეს „არცხვენს“. გამიელვა, ამ ტრადიციის წარმომადგენელთან საყვედური უნდა მომეზომა-მეთქი... საერთოდ, იაპონელები ფაქიზი აღქმით გამოირჩევიან, მათი საყვარელი ფრინველი წეროა. წლების წინ, როცა საქართველოდან ხელოვანთა დელეგაცია ეწვიათ და ქართველთა საყვარელ სიმბოლოდ არწივი დაუსახელა, მასპინძლები შეცბნენ, რატომო. მერე, როცა ქართველებს არწივის „გაღმერთება“ აუხსნიათ, როგორც ამ ამბის თვითმხილველი, პოეტი რასულ გამზათოვი ამბობს, იაპონელებს ჩაულაპარაკიათ, ალბათ, მართლები ხართ და თქვენი მიდგომა გასაგებიაო.. ისე, ჰიროტაკე მაედა ისე ხშირად გვსტუმრობს და თავი ისე შეგვაყვარა, რომ იაპონელად ვერ აღვიქვამ....**

**— ჰიროტაკე, საქართველოთი როდის და რატომ დაინტერესდი?**

— ევრაზიის ძველი, ისტორიული წარსულის ხალხი და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნები ბავშვობიდან მაინტერესებდა. 70-იან წლებში, იაპონიის ტელევიზიით გადაცემა „სილქროუდი“ ანუ „აბრეშუმის გზა“ გადიოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი ახლოვდებოდა და სწორედ მაშინ გავეცანი თბილისისთვის კოლორიტული პიროვნებების — ფიროსმანისა და ფარაჯანოვის შემოქმედებას, ასევე ძმებ გიორგი და ელდარ შენგელაიების ფილმებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება გიორგი შენგელაიას „ფიროსმანმა“, ელდარ შენგელაიას „ცისფერმა მთებმა“, თენგიზ აბულაძის „მონანიებამ“, სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერმა“ და ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვემ“ მოახდინა. სტუდენტობისას ქართული ენა და კულტურა ღრმად შევისწავლე. სხვათა შორის, სწორედ ქართულით გატაცებამ გადამაწყვეტინა ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაბარება... იაპონიაში, როგორც აზიურ ქვეყანაში, ახლო აღმოსავლეთის კულტურისა და ისტორიის შესწავლა ერთგვარი ტრადიციაა.

**— როგორც ვიცი, ტოკიოს უნივერსიტეტში, შენი შემწეობით, ქართულზე მოთხოვნა გაიზარდა. იაპონელი ქართველოლოგების ახალ თაობაზე რას იტყვი?**

— ტოკიოს უნივერსიტეტში ახალგაზრდა ასპირანტებსა და დოქტორანტებს ქართულის შესწავლაში ვეხმარები. კავკასიის განხრით რამდენიმე ჯგუფი მუშაობს და, პარალელურად, ქართულის შესწავლითაცაა დაინტერესებული. ეს განსაკუთრებით შვიდი ასპირანტზე ითქმის — ამ გზას ისინი, იმედია, ბოლომდე გაყვებიან.

**— საქართველოში პირველად როდის ჩამოხვედი?**

— პირველად 1995 წელს ჩამოვედი. მაშინ არეულობა იყო. ჩემმა მეგობარმა მცხეთის ჯვარზე ამიყვანა და იქიდან გადმომახედა. ეს ადგილი იმდენად ახლოა ჩემს ბუნებასთან და იმხელა ისტორიის მატარებელია, რომ სიტყვებით გადმოცემა მიჭირს. როცა საქართველოში ჩამოვდივარ, ჯვარზე ყოველთვის ავდივარ. მოკლედ, საქართველო შევიყვარე და მას შემდეგ ხშირად ჩამოვდივარ — წელიწადში ორჯერ... ბუნება, რა თქმა უნდა, მომწონს, მაგრამ პირველ რიგში, ხალხი და მასთან ურთიერთობა. თქვენს ხალხს ძალიან უყვარს საკუთარი ისტორია, სჯერა მომავლის. საოცარია — ბევრი გაჭირვება გადაიტანეთ, მაგრამ იმედი არ დაგიკარგავთ. ამით ბევრი დიდი ერიც ვერ დაიტრაბახებს.

მთელი საქართველო მოვლილი მაქვს — ნამყოფი ვარ თუშეთში, რომელიც განსაკუთრებით მომწონს, სვანეთში, მთიულეთში, ფშავშიც ვიყავი, კახეთშიც, სამეგრელოსა და გურიაშიც... აი, ხევსურეთისა და ბახმაროს ნახვა ვერ მოვასწარი...

**— ქართულ სამზარეულოს შეეწყვე?**

— პრობლემა არ მქონია. მართალია, ქართული სამზარეულო იაპონურისგან ბევრად განსხვავდება, მაგრამ საერთოც გვაქვს: პროდუქტს უფრო ბუნებრივი სახით ვიყენებთ და არ ვამუშავებთ, რაც მნიშვნელოვანია.

**— რითი ჰგვანან და განსხვავდებიან ქართველები და იაპონელები ერთმანეთისგან?**

— ჩვენ ემოციებს არ გამოვხატავთ, თქვენ კი ემოციურები ხართ. საერთო კი ტრადიციების სიყვარული და ოჯახის ინსტიტუტია.

**— ქართული მწერლობა და პოეზია გიზიდავს?**

— კი... ძალიან მიყვარს ვაჟა და გალაკტიონი...

# ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲗᲐᲛᲐᲜᲘᲐ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 9 | | 4 | | | | |
| | | 6 | | | | 9 | | |
| | 4 | | | 9 | 8 | | | |
| 2 | | | 9 | | | 7 | | |
| 6 | | | | 3 | | | | 1 |
| | | 4 | | | 1 | | | 9 |
| | | | 3 | 8 | | | 1 | |
| | | 5 | | | | 3 | | |
| | | | | 5 | | 4 | 2 | 7 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 6 | | | 3 |
| 3 | | | 9 | | 5 | | 1 | |
| 1 | 6 | | | | 7 | | | |
| | 1 | | | | | | 6 | |
| 5 | | | | 2 | | | | 8 |
| | 7 | | | | | | 9 | |
| | | | 8 | | | | 5 | 6 |
| | 8 | | 4 | | 3 | | | 9 |
| 4 | | | 1 | | | 8 | | |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | | |
| | 1 | | 6 | 7 | | | 2 | 8 |
| 8 | 7 | | | | | 1 | | |
| 7 | | 8 | 3 | | 5 | | | 6 |
| | | | | | | | | |
| 1 | | | 8 | | 7 | 5 | | 4 |
| | | 2 | | | | | 6 | 1 |
| 9 | 6 | | | 4 | 3 | | 8 | |
| | | | | 8 | | | | |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 8 | | | | 6 | |
| | 1 | 5 | | | 4 | 9 | | |
| | 7 | | 5 | 1 | | 4 | | 2 |
| 3 | | | | | | 2 | | 1 |
| | | 8 | | 4 | | 7 | | |
| 1 | | 4 | | | | | | 3 |
| 9 | | 3 | | 2 | 1 | | 7 | |
| | | 1 | 9 | | | 3 | 2 | |
| | 4 | | | | 8 | | | |

## რწმენის განსამტკიცებლად ბენზინს სვამდნენ

სამხრეთაფრიკელი პასტორი მრევლს მოუწოდებდა, რწმენის განსამტკიცებლად ბენზინი დაელიათ. ეს ის მღვდელია, რომელმაც ადრე საკუთარი სამწყსო დაარწმუნა, უფალთან მიახლოებისთვის ბალახი მოეძოვა. პასტორმა დანიელ ლესეგომ მორწმუნეებს განუცხადა, რომ სასწაულს მოახდენდა და ბენზინით სავსე ვედროს ანანასის წვენად გადააქცევდა. მერე მრევლი რიგში დააყენა და თითო ყლუპის დალევა დაავალა. როგორც მღვდელი აცხადებს, ამით სურს, ყველას დაუმტკიცოს, თუ რა შეუძლია მორწმუნე ადამიანს. ამის მიუხედავად, პასტორს ათასობით მორწმუნე აკრიტიკებს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ფოტოები, როგორ დგას მისი მრევლი, ღებინების მოლოდინში პირზე ხელაფარებული, ტუალეტის რიგში.

# ტემპერამენტს წელიწადის დრო განსაზღვრავს

წელიწადის დრო, როდესაც დაიბადა ადამიანი, გავლენას ახდენს მის განწყობასა და აფექტის მდგომარეობის განვითარების რისკზე, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ უნგრელი სწავლულები და ამას ბიოქიმიური კვლევებიც ადასტურებს. საქმე ისაა, რომ მონოამინური ნეიროგადამცემების, დოფამინისა და სეროტონინის დონე მკვეთრად მერყეობს წლის განმავლობაში. ადამიანებს, რომლებიც ზაფხულში არიან დაბადებულნი, უფრო ხშირად ციკლოტიმიური ტემპერამენტი (ხასიათის მკვეთრი ცვლილებები) აქვთ, ვიდრე ზამთარში დაბადებულებს. ასევე, გაზაფხულზე ან ზაფხულში დაბადება ზედმეტად პოზიტიურობას უქადის. „შემოდგომის ადამიანებს“ უფრო იშვიათად აწუხებთ დეპრესია, „ვიდრე „ზამთრისებს“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსაკუთრებულობა არ მიეკუთვნება გადახრას, მაგრამ შეუძლიათ, გარკვეულ პირობებში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობას შეუწყონ ხელი.

# ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲩᲐᲘ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ

დიდი ბრიტანეთის ლესტერშირის საგრაფოს საავადმყოფოებში ექიმებს სამუშაო საათებში ჩაისა და ყავის სმა აუკრძალეს. სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება პაციენტების მრავალრიცხოვანი თხოვნის საფუძველზე მიიღო — ჩიოდნენ, რომ პერსონალი, რომელიც მიღებისას ცხელ სასმელს მიირთმევს, ზარმაცი და უგულისყურო სპეციალისტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ექიმებს ამ აკრძალვის თაობაზე ელექტრონული წერილები დაუგზავნეს. ბევრმა მათგანმა ახალი ნორმა მეტად უსამართლოდ მიიჩნია და მას „დაუფიქრებელი და დრაკონული“ უწოდა. მედიკოსებმა მათი უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ კამპანიაც წამოიწყეს. რა იქნება მომავალში? ალბათ, ტუალეტში შესვლასაც აგვიკრძალავენ, — აცხადებენ უკმაყოფილოები. საპასუხოდ ხელმძღვანელობამ ექიმებს შეახსენა, რომ აკრძალვა მხოლოდ ცხელ სასმელს ეხება, რომელიც მოდუნების ინსტრუმენტი უფროა, ვიდრე ორგანიზმში სითხის მარაგის შევსების მეთოდი.

# ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 | 1 | 9 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 | 8 | 6 | 5 |
| 7 | 8 | 9 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 1 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 2 | 3 |
| 5 | 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 2 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 4 |
| 1 | 3 | 7 | 2 | 4 | 5 | 6 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 4 | 1 |
| 8 | 4 | 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 5 | 7 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 3 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 2 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 3 |
| 8 | 9 | 6 | 2 | 1 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 7 | 4 | 5 | 6 | 9 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 2 | 3 | 1 | 5 | 4 | 8 | 6 | 9 | 7 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 8 | 9 | 4 | 7 | 6 |
| 6 | 7 | 8 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 9 | 1 | 4 | 7 | 6 | 2 | 3 | 5 | 8 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 2 | 7 | 4 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 3 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 5 | 4 | 2 | 9 | 6 | 8 | 1 | 3 |
| 5 | 1 | 3 | 6 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 |
| 4 | 7 | 9 | 1 | 3 | 8 | 6 | 5 | 2 |
| 6 | 2 | 8 | 5 | 7 | 9 | 4 | 3 | 1 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 1 | 5 | 3 | 8 | 4 |
| 9 | 4 | 1 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 | 6 |
| 8 | 3 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 | 7 | 9 |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 7 | 6 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 4 |
| 2 | 5 | 3 | 6 | 1 | 8 | 7 | 4 | 9 |
| 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 8 | 2 | 3 |
| 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 6 | 2 | 8 | 5 | 3 | 7 | 4 | 9 | 1 |
| 5 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 6 | 7 |
| 3 | 9 | 7 | 4 | 6 | 1 | 2 | 5 | 8 |

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 2 | 9 | 1 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 |
| 3 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 6 | 3 | 4 | 1 | 2 | 8 | 9 | 5 | 7 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 4 | 7 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 2 | 4 | 6 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 5 | 4 | 8 | 2 | 9 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 7 | 6 | 3 | 9 | 1 | 8 | 5 | 2 |
| 8 | 6 | 9 | 2 | 5 | 4 | 7 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 7 | 5 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 6 | 4 |
| 2 | 9 | 3 | 1 | 4 | 6 | 5 | 8 | 7 |
| 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 | 2 | 9 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 6 | 3 | 5 | 7 | 4 | 8 | 2 |
| 2 | 3 | 4 | 6 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 6 |
| 7 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 | 6 | 9 | 3 |
| 3 | 6 | 8 | 9 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 6 | 3 | 8 | 5 | 7 |
| 6 | 4 | 9 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 5 | 2 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 | 6 | 9 |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 6 |
| 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 3 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 5 | 4 |
| 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 3 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. პანდუსი; 2. პარიტეტი; 3. რეომიური; 4. ტრეკი; 5. პუნში; 6. ნიტრატი; 7. იულისი; 8. იაბო; 9. სოია; 10. ადელაიდა; 11. კულინანი; 12. ნეიტრონი; 13. ალილიო; 14. ლასკერი; 15. ფოლიანტი; 16. ბალატონი; 17. „კია“; 18. ასფალია; 19. ვერე; 20. ურდუ; 21. ტიკი; 22. ლაბა; 23. ქურქი; 24. აიაზმა; 25. ლისტი; 26. „ტოიოტა“; 27. ქვისლი; 28. ღიპი; 29. ისლი; 30. ქვა; 31. ვიაგრა; 32. კილტი; 33. კილიტა; 34. ლერწი; 35. ტანკი; 36. უშბა; 37. რვა; 38. ობი; 39. „ალეკო“; 40. ალტი; 41. ნოტი; 42. ტაბლა; 43. იმრე; 44. ორბი; 45. პედანტი; 46. ფიბა; 47. ფაქიზო; 48. იულ; 49. ელ; 50. ბანერი; 51. ბალბოა; 52. იონი; 53. ზმა; 54. იამბი; 55. აის; 56. აირანი; 57. არია; 58. ფიცი; 59. გაიმი; 60. რული; 61. ორბი; 62. რაკია; 63. თმა; 64. „იზა“; 65. „რომენი“; 66. სკამი; 67. ლესია.

მე-12 გვერდი: 1. შტაბი; 2. ტრიბუნა; 3. ბადრო; 4. აზატი; 5. ზოოლოგია; 6. ტაბაკა; 7. დიოდი; 8. ლოველასი; 9. ლოლუა; 10. კოლბა; 11. შიოლა; 12. იტრია; 13. ოშკი; 14. ონი; 15. ალფეოსი; 16. ვიზიტი; 17. ტაიგა; 18. ლავრა; 19. ფული; 20. ელია; 21. სააბი; 22. ჟილეტი; 23. ვალსი; 24. ინტერვენცია; 25. აკონკაგუა; 26. ტოგა; 27. ჟაკ ლუი დავიდი; 28. ტერაკოტა; 29. ევა; 30. ბზე; 31. გნუ; 32. ელადა; 33. კივერი; 34. ირიტი; 35. კუსტო; 36. ხვატი; 37. ტაიმი; 38. მეტრიკა; 39. კომა; 40. იოსები; 41. ხვალ; 42. გინიოლი; 43. ნუგა; 44. შვეიკი; 45. ტივი; 46. რაი; 47. გულაბი; 48. მალტა; 49. მნე; 50. ნაია; 51. შტატივი; 52. ჰანოი; 53. ადლერი; 54. ემი; 55. ნალი; 56. დიანა; 57. ეა; 58. დუ; 59. ნევა; 60. ბუნაგი; 61. ნური; 62. ინა; 63. მედიანა; 64. სუნი; 65. ემსი; 66. აბი; 67. ესე; 68. აბზინდა; 69. სოლ; 70. კულისიე; 71. აკელა; 72. ვარანი; 73. სი; 74. კიი; 75. ანდები; 76. როდენი; 77. მაუზერი; 78. ბის; 79. მჭლე; 80. ნარმა; 81. ჰოლი; 82. აზია; 83. ნარმა.

1. ნივთ. შედგენილობის სიმბოლური ჩაწერა
2.ირანის შაჰის ბრძანებულება
3. მდინარე აფხაზეთში
4.ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი
5. ლენინის გვარი
6. იასამნისფერი საიუველირო ქვა
7. ფაიფურის მსგავსი კერამიკული მასა
8. ნახატებიანი გამოცანა
9. სამკურნალო მცენარე
10. ამაზონის დელფინი
11.მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერალი
12. ზღვის გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი
13. აფრიკული შხამიანი გველი
14. კიბერნტიკის „მამა“
15. ორი სახ. ორგანიზმის თანაცხოვ. ფორმა
16. გაზაფხულის მეორე თვე
17. სამოქ. ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია
18. სმენის არმქონე ადამიანი
19. სულთნის ცოლების სახლი
20. თბილისის უბანი
21. ტროას მეორე სახელი
22. ფიჯის დედაქალაქი
23. პარლამენტის თავმჯდომარე
24. „სეთური „დათა თუთაშხიაში“
25. ზევსის საყვარელი ასული
26. წისქვილის ქვა
27. საოჯახო ელექტროხელსაწყო
28. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
29.ვლადიკავკაზის საფეხბ. კლუბი
30. მდინარე - ესპანურად
31.ცეცხლსასროლი იარაღის მილი
32.ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
33.გიორგი სააკაძის მშობიური სოფელი
34. NBA-ს ვარსკვლავი
35.აშშ-ის კოსმ. სააგ.
36.იგივე დიალექტი
37.დენ ბრაუნის „და ვინ-ჩის ...“
38.ერთ-ერთი ნიმფა, რომელსაც ბერძნები ფუტკრების დედამთავრად თვლიდნენ
39. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
40. თავშესაქცევი სანახაობა
41. სოფელი ყვარლის რაიონში
42. კარმენის მკვლელის სახელი
43.არსაკიძის მეტსახელი
44.ტბა ალასკაზე
45. ათენის საფეხბ. კლუბი
46. ზღაპრული მინაარსის იგავი
47.ამერ. მომღერალი ... საირუსი
48. შებოლილი ხორცი
49.აშშ-ის ექსპრეზიდ.
50.მომღერ. ... კოკერი
51. შოკოლადის ხე
52. კარგი ხვედრი, იღბალი
53.ახალზელანდიური უფრთო ფრინველი
54. რუსული ჯიპი
55. მუსიკალ. გამის III ნოტი
56. ხურდა ფული შვეიცარიაში
57. სირაკუზელი ტირანი
58. წიწვოვან მცენარეთა წვენი
59. ტაილანდის ძველი სახელწოდ.
60. კუკარაჩას ცოლის სახელი
61. ნერვული სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური ელემენტი
62. „ბითლზის“ წევრი ... მაკარტნი
63. თავდავიწყების მდინარე
64. ვარდოზისთვე
65. ძვ. ფრანგული ხურდა ფული

# წარუმატებელ გარდასახვას სიკვდილი აირჩია

ბელგიელ მამაკაცს, ნათან ვერჰელსტს ევთანაზია ჩაუტარდა — ადრე ქალი იყო და ნენსი ერქვა. ბელგიელმა სიცოცხლის საკუთარი ნებით დასრულების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სქესის შეცვლის ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა და „აუტანელი სულიერი ტანჯვა“ მიაყენა. გოგონა ვიყავი, რომელიც არავის სჭირდებოდა, — განუცხადა ვერლჰესტმა ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, — მშობლებს ჩემი ძმები უფრო უყვარდათ და ნანობდნენ, რომ მეც ბიჭად არ გავჩნდიო. გამუდმებულმა დამცირებამ ნენსის ოპერაციის გაკეთება გადააწყვეტინა. მან ჰორმონალური თერაპია გაიარა, შემდეგ კი მკერდი მოკვეთეს და სქესიც შეუცვალეს, თუმცა, არც ერთი ოპერაცია წარმატებული არ აღმოჩნდა. სარკეში რომ ვიყურებოდი, თავი მეზიზღებოდა, — განაცხადა ნათანმა. ბელგიელის ისტორიამ ქვეყანაში ევთანაზიის გამოყენების მართებულობაზე დიდი კამათი გამოიწვია. სტატისტიკით, ამ მეთოდით სიცოცხლის დასრულების მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. წელს კი ამ მხრივ რეკორდი დამყარდა — 1432 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 25%-ით მეტია. ბელგიის გარდა, ევთანაზია ევროპის კიდევ ორ ქვეყანაში — ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგშია კანონით დაშვებულია.

# ჩილეში ანტიმიკრობული მატარებელი იგლიტ

ჩილეს ქალაქ ვალპარაისოს მეტროში ცოტა ხნის წინ მატარებლის უჩვეულო შემადგენლობა გავიდა. ვაგონში სპეციალური ანტიმიკრობული შენადუღია, რაც მგზავრებს სხვადასხვა დაავადების გავრცელებისგან დაიცავს. სახელურის ზედაპირი, რომელსაც მგზავრები ხელით ეყრდნობიან, სპილენძის საფუძველზე შექმნილი ნაერთითაა დაფარული. გამოკვლევის მიხედვით, სპილენძი 99,9%-ით ანადგურებს ყველა ბაქტერიას, ვირუსსა და სოკოს. ჩილეს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ეს ინიციატივა საშუალებას მისცემს, ცხოვრების უკეთესი დონით უზრუნველყონ ის ადამიანები, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით, პირველ რიგში კი, მეტროპოლიტენით მგზავრობს. გარდა ამისა, მოქალაქეების ანტიბაქტერიული დაცვის მიზნით, სპილენძის გამოყენების მასობრივი გავრცელება მსოფლიო დონეზე ხელს შეუწყობს მოთხოვნას ამ მეტალზე. მარტივი გათვლით, ეს წელიწადში დაახლოებით 500 ათასი ტონაა. ჩილე კი, როგორც ცნობილია, მსოფლიო ლიდერია სპილენძის წარმოებაში.

# ფრჩხილის ლაქს აქირავებენ

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებ ქალბატონებს უჩვეულო სერვისს — ფრჩხილის ლაქისა და სხვა კოსმეტიკური საშუალებების მიქირავებას სთავაზობენ. მომსახურების საფასური, რომლის ავტორიც კომპანია Coloristiqია, 14,49 გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 23 დოლარი) შეადგენს თვეში. ფირმის დამფუძნებლები იმედოვნებენ, რომ სიახლე ქალებს საშუალებას მისცემს, რეგულარულად დაზოგონ თანხა და სთავაზობენ არჩევანს სხვადასხვა ფერისა და ბრენდის ლაქისას. ერთი თვის განმავლობაში მათ შეუძლიათ, სამი ფლაკონი იქირაონ და თითოეული სამჯერ გამოიყენონ. როგორც კომპანიის იდეოლოგები აცხადებენ, ფრჩხილის ლაქის „კოლექტიური ფლობა“ უსაფრთხოა მომავალი კლიენტებისთვის. ამ კოსმეტიკური საშუალების შემადგენლობის განსაკუთრებულობა გამორიცხავს ბაქტერიების, მიკრობებისა და სხვა ნებისმიერი მიკროორგანიზმის ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანას.

# სუდოკუ

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 3 | 4 | |
| 1 | 5 | | 9 | | | 8 | | |
| 8 | | 2 | | 7 | | | | |
| 9 | | 1 | | | | | 2 | |
| 5 | | 7 | | 1 | | 6 | | 8 |
| | 2 | | | | | 1 | | 5 |
| | | | | 2 | | 9 | | 7 |
| | | 5 | | | 4 | | 6 | 1 |
| | 7 | 6 | | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 6 | | | | | |
| 4 | 1 | 9 | | | | | | |
| 8 | | | 9 | | | 4 | 1 | |
| | 9 | | | | | 7 | | 6 |
| 7 | | 4 | | | | 5 | | 3 |
| 6 | | 3 | | | | | 9 | |
| | 6 | 1 | | | 5 | | | 9 |
| | | | | | | 6 | 7 | 4 |
| | | | | | 3 | | | 1 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | 9 | | | 1 | |
| | 9 | | | | | | | 4 |
| 7 | | | 2 | | 8 | | | 3 |
| | | | 3 | | | 1 | | 8 |
| | | | 8 | 7 | 2 | | | |
| 3 | | 5 | | | 9 | | | |
| 9 | | | 6 | | 7 | | | 1 |
| 8 | | | | | | | 6 | |
| | 3 | | | 4 | | | | 5 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | 8 | | 5 |
| 2 | | 7 | | | | | 1 | |
| | | | 9 | | | | 3 | |
| 3 | | | | | 1 | 5 | | |
| | 5 | | 6 | | 9 | | 4 | |
| | | 8 | 2 | | | | | 1 |
| | 6 | | | | 8 | | | |
| | 9 | | | | | 7 | | 3 |
| 5 | | 2 | | | 3 | | | |

# კომბოსტო რადიაციისგან გვიხსნის

ნაერთებმა, რომელსაც ფოთლოვანი კომბოსტო, ყვავილოვანი თუ ბროკოლი შეიცავს, ლაბორატორიული თაგვები გამა-გამოსხივების შედეგებისგან დაიცვა. ეს ნაერთები პერსპექტიულია სხივური თერაპიის შედეგების შესარბილებლად და ასევე, ტექნოგენური კატასტროფებისას რადიაციით დაზარალებულების დასახმარებლადაც. სპეციალისტების განცხადებით, ანტიკანცეროგენული მოქმედებით კომბოსტოში არსებული ერთ-ერთი ნაერთი indol-3 კარბინოლი და ორგანიზმში მისი დაშლის შედეგად მიღებული პროდუქტი დიინდოლილმეთანი გამოირჩევა. ეს უკანასკნელი უჯრედებს გამოსხივებისგან იცავს ფერმენტის გააქტიურებით, რომელიც დნმ-ის დაზიანებაზეა პასუხისმგებელი, რაც აუცილებლად ხდება დასხივებულ უჯრედებში. ეს მეტად ღირებული თვისებაა, მაგრამ მხოლოდ ჯანმრთელ ქსოვილს იცავს და არა სიმსივნურს, თუმცა, მისი გამოყენება მაინც შესაძლებელია კიბოს დროს სხივური თერაპიის მავნე შედეგების შესარბილებლად. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ დიინდოლილმეთანის პრაქტიკული გამოყენება, შესაძლოა, ორ სფეროში მოხდეს: სხივური თერაპიისას პაციენტის ჯანმრთელი ქსოვილების დასაცავად და იმ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, ვინც ტექნოგენური კატასტროფის შედეგად რადიაციული გამოსხივებით დაზარალდა.

# აპენდიციტის ამოჭრა ინფარქტს გვიახლოვებს

აპენდიციტისა და ნუშურა ჯირკვლების ამოჭრა მიოკარდის ინფარქტის რისკს ზრდის, — ასეთ საოცარ დასკვნამდე მივიდნენ შვედეთის სამეფო ინსტიტუტის სპეციალისტები, რომელთაც 40-დან 55 წლამდე ასაკის ადამიანების სამედიცინო ანკეტები შეისწავლეს. სწავლულები მიღებულ შედეგებს იმით ხსნიან, რომ ადამიანის ორგანიზმი იმდენად რთული და ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურაა, რომ ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილებები, შესაძლოა, მეტად სერიოზული შედეგების მიზეზი გახდეს. ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა სწავლულთა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ადრეულ ასაკში „ბრმა ნაწლავისა“ და „გლანდების“ ამოჭრა მნიშვნელოვნად ზრდის უკვე მოწიფულ ასაკში ინფარქტის განვითარების რისკს. აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც 20 წლამდე ამოიკვეთეს ეს ნაწილები, შემდგომი 23,5 წლის განმავლობაში დიდი ალბათობა ჰქონდათ მიოკარდის ინფარქტის ან გულის იშემიური დაავადებების განვითარებისა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# დიაბეტი დაგიწყებას მიეცემა

ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულების ახალი ნამუშევრის წყალობით, უახლოეს პერიოდში ადამიანებს აღარ ემახსოვრებათ, რა არის დიაბეტი. მეცნიერებმა შეძლეს გამოეყვანათ და გადაენერგათ უჭქვეშა ჯირკვლის უჯრედები, რომლებიც ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებენ. ეს უჯრედები გამოიმუშავებენ ინსულინს. მათი საფუძველი ემბრიონული ღეროვანი უჯრედები გახდა. თუ მათი უსაფრთხოება დამტკიცდება, მაშინ ტრანსპლანტაცია პაციენტებს პირველი ტიპის დიაბეტით ინსულინის ინექციებს ააშორებს. დღესმკვლევარებს კლინიკური ცდები არ დაუწყიათ, ჯერჯერობით, ტესტირება ცხოველებზე მიმდინარეობს. სწავლულები აცხადებენ, რომ უჯრედები ინსულინს რამდენიმე თვის განმავლობაში გამოიმუშავებენ.

# მანქანაზე უარისთქმისთვის ოქროს აძლევენ

არაბეთის გაერთიანებული საამიროების ხელისუფლება მზადაა, 4 კილოგრამი სუფთა ოქრო გასცეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დღის აღნიშვნის ფარგლებში. ამ გზით ჩინოვნიკები ცდილობენ, მოსახლეობას უბიძგონ, უარი თქვან პირადი ავტომობილის გამოყენებაზე. ოქროს ზოდებსა და სხვა საჩუქრებს, ერთი კვირის განმავლობაში, ლატარიაში გაათამაშებენ, მათი მიღების პრეტენდენტები კი მხოლოდ დუბაის სამგზავრო ბილეთების მფლობელები იქნებიან. ავტობუსის ერთ-ერთ გაჩერებაზე ქუჩის კალათბურთის ტურნირსაც გამართავენ, რომლის გამარჯვებულიც 2 700 დოლარს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ დუბაი მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია ავტომობილების რაოდენობის მხრივ — აქ ყოველ ოჯახზე, საშუალოდ, 2,3 ავტოტრანსპორტი მოდის და მოსახლეობის მხოლოდ 13% სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

# გართოება

1. საგანგებო სამხედრო სასამართლო
2. სუდანის დედაქალაქი
3. ვკაკომო პუჩინის ოპერა
4. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
5. სუბ-ტროპიკული მცენარე
6. ავტონომიური ოლქი სამხრეთ ესპანეთში
7. ათის მომდევნო რიცხვი
8. ხელის მტევნის ნაწილი
9. ჩინური მაფია
10. საყვირების ხმებისგან დანგრეული ბიბლიური ქალაქი
11. მეტოქე, მოცილე სიყვარულში
12. მდინარე ყვარელში
13. სესილია თაყაიშვილის კინოროლი „დათა თუთაშხიაში“
14. ფოსტით გაგზავნილი შეფუთული ნივთი
15. „კბილებიანი“ ბოსტნეული
16. ლუარსაბ თათქარიძის სიმამრის სახელი
17. დახრილი შრიფტი
18. გრძელყელიანი გოგრა
19. დამხმარე თეორემა გეომეტრიაში
20. სოფელი ადიგენის რაიონში
21. ვარდენის ქალიშვილი „უდიპლომო სასიძოში“
22. მიზანა ბრეგვაძის ვაჟი „შერეკილებში“
23. პარტია ჩოგბურთის თამაშში
24. ყურის ანთება
25. რეპის „მამა“
26. სოკო ტრიუფელის ქართული სახელწოდება
27. რვა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
28. ფართობის ერთეული, ჰექტრის მეასედი
29. ჩინეთის ფულის ერთეული
30. ქიმიური ელემენტი, მეტალი
31. მონადირის „საოცნებო“ ფრინველი
32. საპორტო ქალაქი პერუში
33. ჰოლივუდის მსახიობი ტომ ...
34. საოპერო პარტია
35. სანკტ-პეტერბურგის მუზეუმი
36. ძიუდოს შემქმნელი
37. ვაზების მწკრივი ვენახში
38. ადამიანის ბიოველი
39. ნაკლი, ზადი, დეფექტი
40. სოფელი სენაკის რაიონში
41. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება ფიზიკური სხეული
42. რბილი სასის წაგრძელებული ბოლო ნაწილი
43. მარილმჟავასა და პეფსინის უქონლობა კუჭის წვენში
44. სომხური გვარების წინსართი
45. ირლანდიის რესპუბლიკური არმია (აბრევიატ.)
46. სხვადასხვა რასის ადამიანთა შთამომავალი
47. დაბალზამებული გვამი
48. ალუდა ქეთელაურის მიერ მოკლული ქისტი
49. სემის და იაფეტის ძმა
50. განას დედაქალაქი
51. ნიკანდრო ... „დათა თუთაშხიაში“
52. მე-19 საუკუნის განთქ. იტალ. ბალერინა
53. სევდა, წუხილი
54. პირამ. ქალაქი ეგვიპტეში
55. კომპოზიტ. ნიკოლოზ ...-კორსაკოვი
56. რუსული ესტრადის პრიმადონა
57. მსახიობის ამპლუა - გულუბრყვილო ქალიშვილი
58. სახმარად უვარგისი, ნედლეულად გამოს. ნივთები
59. გრაფ მონტე-კრისტოს სახელი
60. ღამის ანტონიმი
61. შვიდდღიანი მონაკ. ძველართ.
62. ძიძიას ქმარი
63. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
64. ფრანგი მწერალი ქალი ... სანდი
65. ბრეჟნევის ქალიშვილის სახელი
66. გერმანელი პოეტი
67. მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
68. მეფე აიეტის უფროსი სიძე
69. ტანზანიის ყოფილი დედაქალაქი ...-ეს-სალამი
70. კრივში: გვერდიდან დარტყმა მოღუნული ხელით
71. „ყველაფრის მკურნალი“
72. ორსული საქონელი
73. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
74. ფუჭი, უშედეგო
75. გრიბოედოვის „... ჭკუისაგან“
76. ქართული ფოლკ-ჯგუფი
77. დიდი რუსი მეცნიერი
78. იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
79. საჯარიმო შაიბა ჰოკეში
80. შიშველი სხეული ფერწერაში
81. ჰოლივუდის ვარსკვლავი ... ტერონი
82. მტაცებელი თუთიყუში
83. სოფლური სახლი შვეიცარიის ალპებში
84. „კამელიებიანი ქალის“ სახელი
85. უზარმაზარი ქანდაკება
86. ირანის მონარქის ტიტული
87. აკვნის ხელმოსავლები ჯოხი
88. არაბული ფლეიტა
89. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფეხბურთელი ... ფერდინანდი

## ამერიკელები ებოლას ვირუსს ყიდიან

ამერიკულმა კომპანიამ Giant Microbes რბილი სათამაშოების სერია გამოუშვა, რომელსაც ებოლას ვირუსის ფორმა აქვს. ვირუსის ეს რბილი ასლი საოცრად პოპულარული აღმოჩნდა და სათამაშოების პირველი პარტია უმცირეს დროში მთლიანად გაიყიდა. მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ „პლუშის ვირუსის“ რეკორდული გაყიდვები იმითაა განპირობებული, რომ ეს დაავადება ლამის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამერიკელები სათამაშოს შესაძენად უზარმაზარ რიგში დგებოდნენ. „მეტისმეტად გადამდებ საჩუქარს“ ვირუსის აღწერაც მოყვება, რომელიც მყიდველს დაეხმარება, მეტი შეიტყოს საშიშ სენზე. ამ ყავისფერ ჭიაყელას არა მხოლოდ რიგითი ამერიკელები ყიდულობენ, არამედ მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და „წითელი ჯვარიც“ კი. პატარა ზომის ებოლას ფასი 10 დოლარია, უფრო მოზრდილი სათამაშოს ყიდვა კი 30 დოლარადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ფირმა Giant Microbes, ძირითადად, რბილი სათამაშოების გამოშვებაზეა სპეციალიზებული, რომელთაც ბაქტერიების, მიკრობებისა და ადამიანის სხეულის უჯრედების ფორმა აქვთ.


# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.